# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 14 მარტი 2003 №44 (1815) | ფასი 50 თეთრი




# იგივენი და ჩივაძე

## თორმეტი ნაცნობი ცნობილია

ნემსაძე, ქინქლაძე, არველაძე, კალაძე, კობიაშვილი, ჯამარაული...



იხილეთ მეათე გვერდი

# ტორპედო VS დინამო

## ჩემპიონატი საჩემპიონო თამაშით განახლდება





# წმინდა ბრიტანული მომენტი

## მამაცი გულები და მამაცი სულები







REUTERS



ჰენრიკ ლარსონმა ირჟი დუდეკს მეორე წუთზევე გაუტანა, სქოთებმა კი საპასუხო თხუთმეტ წუთში მიიღეს



REUTERS

მალაგა — ბოავიშტა 1:0. მასპინძელთა ურუგვაელი დარიო სილვა: აქვს მკერდს მიდებული ბურთი როგორც უნდა

გუშინდელი შედეგებიდან გამომდინარე, ალბათ, ერთადერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: დასკვნების გაკეთება ნაადრევია. უეფას თასის პირველ მეოთხედფინალურ მატჩებში ვერც ერთმა გუნდმა, მათ შორის ვერც სტუმრად ნახეირებმა „პანათინაიკოსმა", ვერ მოიპოვა ისეთი უპირატესობა, თავი ქუდში იგრძნოს და საპასუხო შეხვედრებს მშვიდად დაელოდოს. ეს ადრეულ ეტაპებზე გვაგრძნობინებდნენ კლასში განსხვავებას. ახლა კი შეჯიბრებას მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალის გუნდებიღა შემორჩნენ და გუშინდელი შედეგებიც ამაზე მიგვანიშნებს.

მწირგოლიანი დღე გამოდგა, არადა, დასაწყისი ისეთი იყო, კაცი საპირისპიროს იფიქრებდა. „სელტიკმა" „ლივერპულმა და „მალაგამ" სწრაფად გაიტანეს და მერე გაჩერდნენ. პორტუში და რომში მეორე ტაიმებშიღა გავიდა თითო გოლი.

უსწრაფესი ჰენრიკ ლარსონისა გამოდგა მეორე წუთზე, მაგრამ ბრიტანულ დაპირისპირებაში უფრო სწრაფადაც შეიძლებოდა ანგარიშის გახსნა — მე-18 წამზე გლაზგოელმა ჯონ ჰართსონმა ძელს გაარტყა.

ყველაზე გვიანი გოლი კი პანათინაიკოსელი ემანუელ ოლისადებესი იყო და ამ შეხვედრაშიც შეიძლებოდა უფრო გვიანი გოლის ნახვა, ვნახეთ კიდეც, მაგრამ წამატებულ წუთებში „პორტუს" გოლი გაუუქმეს.

## უეფას თასი 2002-2003

UEFA CUP მეოთხედფინალი. პირველი მატჩები UEFA CUP

### ლაციო (იტალია) 1:0 ბეშიქთაში (თურქეთი)

1:0 ს. ინძაგი (56)

**ლაციო:** პერუცი, სტამი, ფ. კოუტუ, მიხაილოვიჩი, ფავალი (ინძაგი 50), ლაზეტიჩი (ლივერანი 83), სიმეონე, დ. სტანკოვიჩი, სეზარი, კ. ლოპესი, კიეზა (ფიორე 73)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

**ბეშიქთაში:** კორდობა, ალი ბესერლერი, რონალდუ გიარუ, აჰმეთ ილდირიმი, ნიიაზი (ნუმა 84), ტაიფური (აჰმეთი 76), ჯუნტი (იასინი 70), სერდანი, პანჩუ, სერგენი, ილჰან მანსიზი

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

გაფრთხილება: ილდირიმი, ალი ბესერლერი, რონალდუ გიარუ, სეზარი

მსაჯი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

35 000 მაყურებელი

### მალაგა (ესპანეთი) 1:0 ბოავიშტა (პორტუგალია)

1:0 დელი ვალდესი (18)

**მალაგა:** კონტრერასი, როტეტა, ხოსემი, ფ. სანსი, ვალკარსე, მანუ, სანდრო (მანუელ კანაბალი 75), მ. რომერო, მუსამპა, დარიო სილვა, დელი ვალდესი (ივან ლეკო 75)

მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი

**ბოავიშტა:** რიკარდუ, რუი ოსკარი (ბოსინგვა 46), ედერი, პაულუ ტურა, მარიუ, ავალოსი, პედროსა, ალეშანდრე (იური 71), ჟოსივალტერი, ჟორჟე კოუტუ (კლაუდიო 46), მარტელინიუ

მწვრთნელი: ჟაიმე პაშეკუ

გაფრთხილება: პედროსა, რუი ოსკარი, ავალოსი, რომერო, დარიო სილვა

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

13 000 მაყურებელი

### სელტიკი (შოტლანდია) 1:1 ლივერპული (ინგლისი)

1:0 ლარსონი (2), 1:1 ჰესკი (17)

**სელტიკი:** დუგლასი, მიალბი, ვალგაერენი, ბალდე, ჯ. სმიტი, ნ. ლენონი, ს. პეტროვი, ა. ტომპსონი (სტივ გუპი 26), სატონი, ლარსონი (ლამბერტი 76), ჰართსონი

მწვრთნელი: მარტინ ონილი

**ლივერპული:** დუდეკი, კარაგერი, ჰიპია, ჯ. ტრაორე, რიისე, მერფი, ჰამანი, ჯერარდი, დიუფი (ბისკანი 90), ოუენი, ჰესკი

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

გაფრთხილება: პეტროვი, გუპი

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

60 000 მაყურებელი

### პორტუ (პორტუგალია) 0:1 პანათინაიკოსი (საბერძნეთი)

0:1 ოლისადებე (70)

**პორტუ:** ვიტორ ბაია, პაულუ ფერეირა, ჟორჟე კოშტა, პედრუ ემანუელი, მარიუ სილვა, დეკო სოუზა, კოშტინია (ალეინიჩევი 53), მ. რიბეირუ, ნუნუ კაპუშუ (პეიშოტო 46), დერლეი სილვა (იანკაუსკასი 56), პოსტიგა

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

**პანათინაიკოსი:** ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, კირიაკოსი, ბასინასი, ლიბეროპულოსი (ლინხარი 90), კარაგუნისი (კუმასი 86), ფისასი, სეიტარიდისი, მიკაელსენი, ოლისადებე (კონსტანტინუ 86), კოლკა

მწვრთნელი: სერხიო მარქარიანი

გაფრთხილება: კოშტინია, მიკაელსენი, კარაგუნისი, ბასინასი

მსაჯი: დომენიკო მესინა (იტალია)

44 310 მაყურებელი

## საფრანგეთი

მეორე დივიზიონი. გადადებული მატჩი

ვასკეალი 0:0 ბენიონი

# დიდი კუში 400 000

**მავანმა** ინგლისელმა მეფსონემ „უილიამ ჰილის" ერთ-ერთ ლონდონურ კანტორაში სამშაბათს დილით ორ ვარიანტზე დადო ფული, სულ 73 გირვანქა.

ერთ ვარიანტში მას სამშაბათისა და ოთხშაბათის რამდენიმე თამაშის ტაიმბოლებზე ჰქონდა ფული დადებული. სამშაბათის თამაშების შედეგები გამოიცნო და ოთხშაბათს „რედინგი" — „ვულვერჰემპტონის" შედეგს ელოდებოდა. თუ ამ შეხვედრის პირველ ტაიმს „რედინგი" მოიგებდა, თამაში კი ფრედ დასრულდებოდა, „უილიამ ჰილს" მეფსონისთვის 300 ათასი გირვანქის გადახდა მოუწევდა.

ამ მატჩის პირველი ტაიმი 0:0 დასრულდა, თამაში კი „ვულვზმა" 1:0 მოიგო. მეფსონემ 300 ათასი დაკარგა.

მაგრამ თავში მოგახსენეთ, რომ მას ორი ვარიანტი ჰქონდა შევსებული. იმ მეორე ქვითარში ხუთი მატჩის ტაიმბოლები იყო გადაბმული:

„აიაქსი" — „ვალენსია" 2/X
(პირველ ტაიმს სტუმრები მოიგებდნენ, შეხვედრა კი ფრედ დასრულდებოდა)
„ინტერი" — „ნიუკასლი" 2/X
„ჯილინგემი" — „უიმბლდონი" 2/X
„როჩდეილი" — ბორნმუთი" 2/X
„კრისტალ პალასი" — „იფსვიჩი" 1/X

ეს ხუთი თამაში სწორედ ასეთი შედეგით დასრულდა და მეფსონემ 400 ათასი გირვანქა ჩაიჯიბა. ამიტომ მოდით, ძალიანაც ნუ შევიცოდებთ იმ დაკარგული 300 ათასისთვის.



# წერილი ცხრიანში

## ბექემისთვის მიწერილი სიტყვები ბავშვს ფულად დაუბრუნდა





**ბრიტანულმა გამოცემა** „როიალ მეილმა" საინტერესო კონკურსი მოაწყო. ბავშვების მიერ საკუთარი კერპებისადმი მიწერილი წერილები შეაგროვა და ყველაზე ორიგინალური ტექსტის ავტორი გამოავლინა.

200 ათასამდე ბარათიდან ათი წლის კრისტოფერ ჩემბერსის წერილი გამოარჩიეს, რომელშიც ჩრდილოირლანდიელი ბიჭუნა დევიდ ბექემს თავის ყოფაზე მოუთხრობს და დახმარებას სთხოვს.

გამარჯვებული დედასთან ერთად ლონდონში დასაჯილდოვებლად დაპატიჟეს და უახლესი მოდელის პერსონალური კომპიუტერით დაასაჩუქრეს. თავად წერილის ავტორის სკოლას, ნიჭიერი ბავშვის აღზრდისთვის 750 გირვანქა გადასცეს.

მოგვიანებით, გაზეთში საქვეყნოდ გამოჭიმულმა სკოლის დირექტორმა ნიჭიერი მოწაფე აქო და თან დასძინა, ეგებ „როიალ მეილმა" მოახერხოს და კრისტოფერი დევიდ ბექემს შეახვედროსო.

ცხადია, საინტერესოა ბარათის შინაარსი, მით უმეტეს, რომ წერილის მიზეზი ბავშვის ბრაზიანი დედა ყოფილა. აი, რა მისწერა კრისტოფერ ჩემბერსმა ფეხბურთელს

*ძვირფასო დევიდ ბექემ!*

*გთხოვ დამეხმარო, საგონებელში ვარ ჩავარდნილი და ეს შენი ბრალია. ყველაფერს აგიხსნი. მამაჩემი „მანჩესტერ იუნაიტედის" გულშემატკივარია და ბავშვობიდანვე ყოველ დაბადების დღეზე მჩუქნის „მანჩესტერის" სრულ ატრიბუტიკას. მე ძალიან მიყვარს „იუნაიტედი", მაგრამ ყველაზე მეტად შენი თამაში მომწონს.*

*ჩემი თავსატეხი მას შემდეგ დაიწყო, რაც მამამ ბოლო დაბადების დღეზე „მანჩესტერის" ფორმა მაჩუქა, მერე თანატოლებთან ერთად ფეხბურთი ვითამაშე, ფორმა ტალახით დავსვარე. შინ რომ დავბრუნდი, მაისურა გავიხადე და ჰოლში დავტოვე, რაზეც დედა მეჩხუბა. მეორედ დედამ დასვრილი ფორმა ჩემი ლოგინის ქვეშ იპოვა, მაგრამ ეს კიდევ არაფერი, მთავარი განსაცდელი წინ მელოდა. ისე მომწონს შენი დარტყმული საჯარიმოები, რომ სულ ვცდილობ, შენ დაგემსგავსო. ვიცი, ამას ბევრი ვარჯიში სჭირდება და მეც ვვარჯიშობ ეზოში. დავდებ ბურთს და ვცდილობ, თოკზე გასაშრობად გადაკიდებულ სარეცხს გადავაცილო, ვითომ ისინი მცველები არიან. მაგრამ ამას შენსავით ყოველთვის ვერ ვახერხებ და ბურთი სარეცხს ხვდება, ისვრება, მერე დედა სასტიკად მიბრაზდება.*

*არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ძალიან გთხოვ, დაურეკო დედიკოს და უთხრა, რომ ყველაფერი შენს გამო ხდება. მე ძალიან მინდა, შენსავით ვურტყამდე საჯარიმოებს, მაგრამ სარეცხი რომ ისვრება?*

*შენი კრისტოფერ ჩემბერსი*

# ანჩელოტის ვერსია
## მოგება არ გვჭირდებოდა

**რეალი 3:1 მილანი**

**1:0, 2:0 რაული (12, 57), 2:1 რივალდო (82), 3:1 გუტი (86)**
**რეალი: კასილიასი, სალგადო, ელგერა, პავონი, რობერტო კარლოსი, ფიგუ, მაკელელე, კონსეისაო, ზიდანი (სოლარი 88), რაული (პორტილიო 89), რონალდო (გუტი 67)**
**მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე**
**მილანი: აბიატი, შიმიჩი (ნესტა 62), ლაურსენი, კოსტაკურტა, მალდინი, დალა ბონა (რუი კოშტა 46), ბროკი, რედონდო (პირლო 79), ზეედორფი, შევჩენკო, რივალდო**
**მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი**
**გაფრთხილება: დალა ბონა, რობერტო კარლოსი, შევჩენკო**
**მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)**
**90 000 მაყურებელი**

**ამ შეხვედრაში** „რეალმა" ჩემპიონთა ლიგის ორი რეკორდი დაამყარა, ხოლო რაულის დუბლმა მადრიდელთა ჯგუფიდან გასვლის შანსი კიდევ უფრო რეალური გახადა.

„მილანზე" გამარჯვება „სამეფო კლუბისთვის" ჩემპიონთა ლიგაში ორმოცდამეათე გამოდგა, ხოლო რაული პირველი ფეხბურთელი შეიქნა, რომლის საჩემპიონთალიგო გოლების რაოდენობამ ორმოცს გადააჭარბა. მისი მეორე გოლი ლიგაში 41-ე იყო.

მესამე გოლი რეალელთაგან გუტიმ გაიტანა, „მილანის" ქომაგებს კი ნუგეშად რივალდოს ერთი საპასუხო დარჩათ. ახლა, მეოთხედფინალში გასასვლელად, „რეალს" მოსკოვში „ლოკომოტივის" დამარცხება მართებს. ხოლო თუ „დორტმუნდმა" „მილანის" დამარცხება ვერ შეძლო, მადრიდელები მოსკოვში წაგების შემთხვევაშიც გადიან ჯგუფიდან.

„რეალმა" თავიდანვე ისე დაიწყო თამაში, რომ ნათელი შეიქნა — „მილანს" „სანტიაგო ბერნაბეუდან" თუნდაც ქულის წაღება ფრიად გაუჭირდებოდა. რაულს მესამე წუთზევე შეეძლო ანგარიშის გახსნა. ზინედინ ზიდანს კაპიტანი საგოლე პოზიციაზე გაჰყავდა, მაგრამ ალესანდრო კოსტაკურტამ გადაცემის ჩაჭრა მოახერხა.

არანაკლები პრობლემები ჰქონდათ „როსონერებს" ფლანგებზე, რომლებსაც გამუდმებით ხვრეტდნენ ლუიშ ფიგუ და რობერტო კარლოსი. ამ გუნდების მილანური მატჩი ალბათ გეხსომებათ, მაშინ კახა კალაძეს ფიგუ საიმედოდ ჰყავდა ამოკეტილი. ერთი სიტყვით, „მილანის" დაცვა საქართველოს ბიუჯეტივით გაირღვა.

რაულმა პირველი გოლი მე-12 წუთზე გაიტანა. ფლავიო კონსეისაოს დარტყმული კრისტიან აბიატიმ კუთხურზე მოიგერია. ესპანელებმა ბურთი გაითამაშეს, რობერტო კარლოსმა უზუსტესი პასი მისცა რონალდოს, რომელმაც დიდი ოსტატობით გადააწოდა რაულს და მანაც, ექვსიოდე მეტრიდან აბიატის ახლო კუთხეში შეუგდო. მილანელთა მეკარეს ბურთი ხელზე კი მოხვდა, მაგრამ დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, მიმართულება ვერ იცვალა.

ორიოდ წუთში რაულს კვლავ მიეცა საგოლე შანსი. კოსტაკურტას დაუსხლტა, მაგრამ აბიატიმ, თავგანწირული ნახტომით, ბურთი ფეხიდან ააცალა. ცოტაც და, რონალდოს მართებდა გატანა და კვლავ მეკარემ იყოჩაღა, ბრაზილიელს შვიდი მეტრიდან აუღო.

შესვენების მერე კარლო ანჩელოტიმ მოედანზე უაზროდ მოხეტიალე სამუელე დალა ბონას მაგიერ მანუელ რუი კოშტა შეუშვა და „მილანის" იერიშებმაც გააზრებული სახე მიიღო ეს. პორტუგალიელის მეცადინეობით, მარტინ ლაურსენს გათანაბრებაც შეეძლო, მაგრამ დანიელი არც დაცვაში ვარგოდა და ვერც შეტევაში გამორჩა რამეს.

და მაშინ, როცა „მილანმა" თითქოს თამაშის გამოსწორება შეძლო, მასპინძლებმა მეორე გოლი გაიტანეს. რაულმა საჯარიმოს წინა ხაზთან მიიღო ბურთი, ეშმაკური ფინტით ფერნანდო რედონდო და ლაურსენი დაიბრიყვა და აბიატის მეორე გაუტანა.



ივან ელგერა აქამდე ბარსელონელ რივალდოს უმკლავდებოდა, ახლა მილანელს

REUTERS

რედონდო ვახსენეთ და მასზე წამით შევჩერდეთ: „რეალის" ოდინდელ გმირს „სანტიაგო ბერნაბეუ" თავიდანვე თბილად შეეგება, ხოლო როცა შეცვალეს, ფეხზე ადგომით გააცილეს.

მეორე გოლმა „რეალი" რამდენადმე დაამშვიდა და ინიციატივა მეტოქეს გადაულოცა. ამ დროისთვის ფარ-ხმალი არც „მილანს" ჰქონდა დაყრილი, ამიტომ ინიციატივის დათმობაზე უარი არ უთქვამს და მონდომება გოლით დაასრულა. თამაშის დასრულებამდე რვა წუთით ადრე პაოლო მალდინის ჩაწოდებულს რივალდომ თავური დაჰკრა და სხვაობა შეამცირა.

რივალდოს გოლმა მასპინძლები გააბრაზა და თვალსასეირო კომბინაციით მესამე გოლი გაიტანეს. ამ კომბინაციის გამთამაშებლები ზიდანი და რაული იყვნენ, საბოლოო დარტყმა კი გუტის ერგო.

„სიმართლე გითხრათ, რივალდოს გოლმა შემაშფოთა — აღიარა ნამატჩევს „რეალის" მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ — ერთბურთიანი უპირატესობა დამშვიდების საშუალებას არ იძლევა, მაგრამ ზიდანის ბრწყინვალე თამაშით მესამეც გავიტანეთ. მთლიანობაში კი, ეს ორი დიდი გუნდის დიდი თამაში იყო."

ხოლო კარლო ანჩელოტიმ აღიარა: „იმ ფაქტმა, რომ ჯგუფიდან უკვე გასულები ვიყავით, ჩვენ თამაშს კვალი დაატყო, ის მონდომება გვაკლდა, რითაც „რეალმა" დაგვამარცხა. ეს სრულიად ბუნებრივი ამბავია. თუმცა ამით მეტოქის თამაშს არ ვაკნინებ. „რეალმა" სავსებით დამსახურებულად გაიმარჯვა და ყველას გვაჩვენა, რომ ბრწყინვალე ფორმაშია".



REUTERS

კრისტოფ მეცელდერმა ბურთს თავი დაჰკრა,
რუსლან პიმენოვი კი განზე დარჩა

# დორტმუნდული სევდა
## ჩვენ იოლად მოვუგეთ და რეალი რას უზამს

**დორტმუნდი 3:0 ლოკომოტივი**

**1:0 ფრინგსი (39), 2:0 კოლერი (58), 3:0 ამოროზო (66)**
**დორტმუნდი: ლემანი, ევანილსონი, როიტერი, ვოორნსი, მეცელდერი, ფრინგსი, კელი, დედე (მადუნი 20), ევერტონი, კოლერი (რიკენი 70), ამოროზო (შერლიხი 82)**
**მწვრთნელი: მათიას ზამერი**
**ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ლეკხეტო, იგნაშევიჩი, პაშინინი, ევსეევი, სენიკოვი, მნგუნი, იზმაილოვი, მამინოვი, ობრადოვიჩი (ჟულიო სეზარი 46), პიმენოვი**
**მწვრთნელი: იური სიომინი**
**გაფრთხილება: მნგუნი**
**მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)**
**50 000 მაყურებელი**

ესეც ასე: რუსეთის ჩემპიონმა მეოთხედფინალში გასვლის თეორიული შანსიც დაკარგა. „დორტმუნდი" ძალიან იოლად გაუსწორდა „ლოკომოტივს", სამი უპასუხო გოლი გაუტანა და ჯგუფიდან გაღწევის შანსი შეინარჩუნა. ოღონდ საამისოდ, მომდევნო კვირაში, დორტმუნდელებმა უცილობლად უნდა **დაამარცხონ „მილანი", „ლოკომოტივმა" კი „რეალი" უნდა დაჯაბნოს,** ყოველ შემთხვევაში, **ფრე მაინც** გაუხეროს.

რუსებმა თამაში თითქოს ურიგოდ არ დაიწყეს, მაგრამ პირველ ტაიმში მეტი და უფრო სახიფათო მომენტები მაინც მასპინძლებს ჰქონდათ. იან კოლერმა ბურთს მინდორზე დაშვება არ აცალა, ეგრევე დაარტყა და ხარიხას ოდნავ გადააცილა. მალე მის მაგალითს ევერტონმა მიბაძა.

„დორტმუნდი" მეტწილად საჯარიმოში მაღალი ჩაკიდებებით ცდილობდა სარგებლის ნახვას, თუმცა როგორც თამაშმა აჩვენა, უფრო სახიფათო გერმანელთა შორეული დარტყმები იყო. ამგვარად, სებასტიან კელის 32-ე წუთზე დარტყმული ოვჩინიკოვის კარის ძელს მოხვდა, თან ისეთი კუთხით, უცნაურია, შიგნით როგორ არ შევარდა.

შვიდ წუთში ტორსტენ ფრინგსმა სცადა ბედი და გაუმართლა. „დორტმუნდმა" კუთხური ჩააწოდა, „ლოკოს" მცველებმა ბურთი მოიგერიეს, მაგრამ ფრინგსს მიუვიდა და ზუსტად დასამიზნებლადაც საკმარისი დრო ჰქონდა — ოვჩინიკოვს ბურთისთვის თვალის გაყოლების გარდა არაფერი დარჩენოდა.

შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე ევანილსონს ჰქონდა ანგარიშის გაორმაგების შანსი, შესვენებიდან რამდენიმე წუთში კი უკვე რკინიგზელებს შეეძლოთ გათანაბრება. მარატ იზმაილოვმა 30 მეტრიდან გაბედა დარტყმა და იენს ლემანმა თავგანწირული ნახტომით, თითის წვერებით მოახერხა ბურთის კუთხურზე მოგერიება.

იზმაილოვის ამ გამოხდომას მასპინძლებმა მეორე გოლით უპასუხეს. მოსკოველთა კარში, რამდენიმე მეტრიდან იან კოლერმა შეაგორა. ეს მისი მეშვიდე გოლი იყო ამ სეზონის ჩემპიონთა ლიგაში. მადენის ფლანგური პასი ევანილსონმა საჯარიმოს ცენტრში გადაგზავნა, სადაც ჩეხი გიგანტი დასარტყმელად მზად იყო.

„დორტმუნდის" მესამე გოლი მარსიო ამოროზოს ინდივიდუალური გარჯის ნაყოფი გამოდგა. ბრაზილიელი კარისკენ ზურგით იდგა, საჯარიმოს წინა ხაზთან ორ მეტრში ბურთი მიიღო, მყისიერად შემობრუნდა და სანამ მცველები მის ჩანაფიქრს გამოიცნობდნენ, ხარიხის ქვევით ჩაჭედა. უნდა ითქვას, რომ ოვჩინიკოვის დადანაშაულება რომელიმე გოლში ძნელია, ხოლო თამაშის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე რუსთა თმაგრძელმა მეკარემ კრისტიან ვოორნსის მზაკვრული დარტყმა მოიგერია.

ნამატჩევს მათიას ზამერმა თქვა, 1:0 რომ მოგვეგო, მაინც კმაყოფილი დავრჩებოდი, 3:0 კი, მით უმეტეს მაძლევს კმაყოფილების საბაბს, თანაც დამსახურებულად მოვიგეთო. მაგრამ თავშიც აღვნიშნეთ, „დორტმუნდის" ბედი თავად ბორუსიელთა გარდა „ლოკომოტივი" — „რეალის" ბოლო ტურის მატჩის შედეგზეც ჰკიდია. ზამერმა დასძინა, დანებება არ გვჩვევია და კვლავაც გვაქვს ჯგუფიდან გასვლის იმედიო, მაგრამ: „რუსებს ვთხოვ, არ დანებდნენ და „რეალს" ღირსეულად ეთამაშონ, თუმც ისიცაა, რომ „ლოკომოტივი" იმ კლასის გუნდი არ არის, „რეალის" გამკლავება იოლად მოახერხოს".

**ბიორბი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მილანი** | 5 | 4 | 0 | 1 | 5:3 | 12 |
| **რეალი** | 5 | 2 | 2 | 1 | 8:6 | 8 |
| **დორტმუნდი** | 5 | 2 | 1 | 2 | 7:5 | 7 |
| **ლოკომოტივი** | 5 | 0 | 1 | 4 | 3:9 | 1 |

*„მილანი" გავიდა მეოთხედფინალში*

ჩემპიონთა ლიგა. მეორე ჯგუფური ეტაპი. V ტური. D ჯგუფი

# ქალი კი არა, კაცი ხარ, კაცი!

## ტურინული სულის გამოფენა დელე ალპიზე



REUTERS ტურინიდან

მარსელო ზალაიეტამ მოხდენილი დარტყმით გატანა სცადა

**იუვენტუსი 3:2 დეპორტივო**

1:0 ფერარა (12), 1:1 ტრისტანი (34), 1:2 მაკაი (51), 2:2 ტრეზეგე (63), 3:2 ტუდორი (90)

**იუვენტუსი:** ბუფონი, ტურამი, ფერარა, მონტერო, ძამბროტა, დავიდსი, ტაკინარდი (ტუდორი 77), კამორანეზი (პესოტო 46), ნედვედი, ტრეზეგე, დი ვაიო (ზალაიეტა 46)

**მწვრთნელი:** მარჩელო ლიპი

**დეპორტივო:** ხუანმი, ექტორი, ნაიბეტი, სეზარი (ჟორჟე ანდრადე 71), რომერო, სკალონი, მაურო სილვა, დუშერი, ფრანი (კაპდევილა 46), ტრისტანი (ვალერონი 66), მაკაი

**მწვრთნელი:** ხავიერ ირურეტა

**გაფრთხილება:** ტაკინარდი, მონტერო, დავიდსი

**მსაჯი:** ანდერს ფრისკი (შვედეთი)

25 070 მაყურებელი

ᲗᲣᲛᲪ იმთავითვე „ბებერ ქალბატონს" უწოდებენ, ისეთი კაცური სულის გუნდი, როგორიც ტურინის „იუვენტუსია", ბევრი არ მოიძებნება. არიან ძლიერი გუნდები, არიან დახვეწილნი, ძალისმიერნი და სხვა, თავად „იუვენტუსის" ისტორიაც მოიცავს შედარებით უიღბლო, კრიზისულ პერიოდებს, ესთეტიკურ მხარეზეც შეიძლება კამათი — ალბათ, თანამედროვე, უძლიერესი გუნდებიდან რამდენიმე ტურინელებზე ნატიფ კომბინაციებს ათამაშებს, მაგრამ სულისკვეთება... და, რაც მთავარია, ეს ყოველთვის ასე იყო, ცუდ პერიოდებშიც კი. ნათქვამი შესაძლოა მათემატიკურად დასაბუთებული არ გამოგვივიდეს, მაგრამ როდესაც „ბებერ ქალბატონს" უყურებთ, გრძნობი, რომ თქვენს წინაშე ძლიერი მამაკაცია — აურაა ასეთი.

ჩინებული გუნდია „დეპორტივოც". მისი კლასი და ოსტატობა გულწრფელ აღფრთოვანებას იწვევს, მაგრამ ოთხშაბათს, „დელე ალპიზე" იყო ერთი რამ, რაც სიტყვით ძნელი გადმოსაცემია, მაგრამ შეცვლაზე შესული ხორვატი მცველის, იგორ ტუდორის მიერ 93-ე წუთზე მადლიანად მოქნეული ფეხით გამოითქვა.

„ამღენთვიანი ტრავმებისა და მკურნალობის შემდეგ გოლმა ძალიან გამახარა. რომ ვხედავდი, როგორ მიფრინავდა ბურთი კარში, არ მჯეროდა. დღეს ისე კარგად ვერ ვითამაშეთ, მაგრამ ახლა მომავლის იმედად ვართ. ფიზიკურად ჯერ საუკეთესო ფორმისგან შორს ვარ, რაც იმის ბრალია, რომ ბევრი არ მითამაშია, მაგრამ როგორც კი მთელი მატჩით დამტვირთავენ, ყველაფერი რიგზე იქნება". — განაცხადა მატჩის შემდეგ ტუდორმა.

ამ, ხუთგოლიან შეხვედრაში პირველ წარმატებას მასპინძლებმა მიაღწიეს, ანგარიში ჩირო ფერარამ გახსნა, მაგრამ პირველსავე ტაიმში ლა კორუნიელმა დიეგო ტრისტანმა გაათანაბრა. შესვენების შემდეგ, 52-ე წუთზე, „დეპორტივოს" ჰოლანდიელმა ფორვარდმა როი მაკაიმ ზედმიწევნით ჰოლანდიური, სრულიად საუცხოო დარტყმით სტუმრები დააწინაურა, მაგრამ „ბებერმა ქალბატონმა", რომელიც ერთი ხანობა არეულ-დარეულიც კი გეგონებოდათ, კონცენტრაცია და ნებისყოფა მოიკრიბა და თამაშის ბოლო მონაკვეთი უპირატესობით ჩაატარა. ჯერ დავიდ ტრეზეგემ გაქვითა (რის შემდეგაც საფირმო, ტექნიკური დარტყმით ძელსაც გაარტყა ბურთი), ხოლო 93-ე წუთზე ტუდორმა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ტურინული გუნდის სულის დემონსტრაცია მოახდინა.

„იუვენტუსის" მწვრთნელი მარჩელო ლიპი: „ვიცი, რომ ჩემს გუნდს გაცილებით უკეთესად შეუძლია თამაში. ეს თავად ფეხბურთელებმაც იციან და, საბედნიეროდ, ამიერიდან, ამის ჩვენების საშუალებას დღევანდელი გამარჯვება მოგვცემს. საკუთარ თავში მეტად რომ ვყოფილიყავით დარწმუნებული, ჩემპიონთა ლიგაში საერთოდაც უკეთეს ფეხბურთს ვითამაშებდით, თუმცა მეოთხედფინალში ჯერ არ ვართ გასული. მართალია, ბოლო ტურში დამარცხებითაც შეიძლება პლეი ოფში მოხვედრა, მაგრამ ჩვენ უბრალოდ ვალდებული ვართ, ბაზელში ჩავიდეთ და საუკეთესო ფეხბურთი ვაჩვენოთ. დიახ, ჩვენი გავარდნის შანსი მინიმალურია, მაგრამ, რაკი თუნდაც ეს მინიმალური შანსი არსებობს, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ".

ლიპის ესპანელმა კოლეგამ, ხავიერ ირურეტამ კი მისი გუნდისთვის უიღბლო შეხვედრა ასე შეაფასა:

„დამარცხებამ, ბუნებრივია, გული დაგვწყვიტა, მაგრამ გუნდის თამაშით მაინც კმაყოფილი ვარ. კარგი შეხვედრა გამოვიდა, პირველ ტაიმში ბრწყინვალედ ვიმოქმედეთ, მეორეში კი, შესაძლოა, ოდნავ ამოვვარდით კალაპოტიდან."

**პაპუნა ძედია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS ტურინიდან

იგორ ტუდორმა „დეპორტივო" ჯგუფში ჩატოვა

# შვეიცარიული დებიუტი ინგლისური ენდშპილით



REUTERS ტურინიდან

კრისტიან ხიმენესმა მანჩესტერიდან გოლი, ქულა და იმედი წაიღო

**მანჩესტერი 1:1 ბაზელი**

0:1 ხიმენესი (14), 1:1 გ. ნევილი (53)

**მანჩესტერი:** კეროლი, გ. ნევილი, ბლანი (სქოულზი 74), ფერდინანდი, ოში, რიჩარდსონი (გიგზი 46), ბათი, ფლეტჩერი (ბექემი 74), ფ. ნევილი, სოლსკიაერი, ფორლანი

**მწვრთნელი:** ალექს ფერგიუსონი

**ბაზელი:** ცუბერბიულერი, ცვისიგი, მ. იაკინი, ჰაასი, ბარბერისი, კანტალუპი, ატუბა, შიპერფილდი, ჰ. იაკინი, ხიმენესი (ტუმი 77), როსი (მუგელი 63)

**მწვრთნელი:** კრისტიან გროსი

**გაფრთხილება:** ფ. ნევილი, კანტალუპი

**მსაჯი:** კლაუს-ბო ლარსენი (დანია)

66 870 მაყურებელი

„ბაზელის" ყინჩი მწვრთნელი კრისტიან გროსი ამბობს, რომ „ოლდ ტრეფორდზე", „მანჩესტერ იუნაიტედთან" ნათამაშები ფრის მიუხედავად, მისი გუნდი მეოთხედფინალში გამსვლელთა სიიდან ამოსაწერი არ არის. საქმე ის გახლავთ, რომ ბოლო ტურში შვეიცარიელები „იუვენტუსს" მასპინძლობენ და თუ 4:0-ს ან 5:0-ს მოუგებენ, ჯგუფში მეორე ადგილს დაიკავებენ. გროსი ამტკიცებს, რომ ეს სრულებით არ არის გამორიცხული, რადგან უკვე იხილა, როგორ ფლობდა მისი გუნდი უპირატესობას თვით „მანჩესტერ იუნაიტედთან" შეხვედრაში, თან მის მოედანზე.

„ფეხბურთი ის თამაშია, რომელიც მუდმივად სიურპრიზებს გვთავაზობს — ასეთია გროსის აზრი — დღევანდელი ფრე სულ არ ნიშნავს, რომ ჩვენთვის შეჯიბრება დასრულებულია. „ოლდ ტრეფორდზე" ყველამ ვიხილეთ, რა თავდაჯერებითაც ითამაშა „ბაზელმა".

მართალია, „მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობა საბრძოლოსგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა და ინგლისელებს არც ჰქონდათ ამ შეხვედრაში რაიმე ამოცანა გადასაწყვეტი, მაგრამ ფაქტია, რომ შვეიცარიელებმა ინიციატივა თავიდანვე იგდეს ხელთ. ხულიო როსის, მურატ იაკინის და მარიო კანტალუპის დაბრუნებით წახალისებული „ბაზელი" თავდაჯერებითაც მოქმედებდა და ბურთსაც ფლობდა. როსი ნახევარდაცვაში გახლდათ დაწეული, ხოლო იაკინი და კანტლუპი წინ იყვნენ და ასეთი სისტემით მოახერხეს კიდეც მასპინძელთა დაცვის გახსნა: როსიმ მარჯვნიდან შეუტია, ბურთი ბერნტ ჰაასს გადააწოდა, მან კი კრისტიან ხიმენესს ჩაუკიდა და ანგარიშიც გაიხსნა.

ერთი სიტყვით, მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში „ბაზელი" მძაფრად უტევდა, „იუნაიტედი" კი მძიმედ იცავდა თავს. შვეიცარიელთა სამწუხაროდ, მათ ამ ვითარებით ვერ ისარგებლეს და მეორე გოლი ვერ შეაგდეს, შესვენების შემდეგ კი მასპინძლებმა მასპინძლობა შეიფერეს.

„მეორე ტაიმში ჩვენი თამაში ისეთი კარგი აღარ იყო, როგორც პირველში, რადგან ფეხბურთელები დაიღალნენ" — განმარტა გროსმა.

როგორც მოგახსენეთ, მანჩესტერელთა შემადგენლობა საბრძოლოსგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. კერძოდ, ალექს ფერგიუსონმა თავიდან დაასვენა რაიან გიგზი, დევიდ ბექემი, რუუდ ვან ნისტელროი და პოლ სქოულზი, მაგრამ 53-ე წუთზე ანგარიში მაინც გათანაბრდა და ეს, ნუ გაგიკვირდებათ, გარი ნევილმა შეძლო.

მატჩის შემდგომ ფერგიუსონმა თქვა, რომ კმაყოფილია:

„ჩვენ ტემპი ავწიეთ და ანგარიშის გათანაბრებას სრულიად ვიმსახურებდით. მერწმუნეთ, ისეთი შემადგენლობის შერჩევა, რომელიც წამყვან მოთამაშეებსაც დაასვენებდა და არც შეგვარცხვენდა, იოლი არ იყო".

გარი ნევილი: „ხომ გახსოვთ, როგორ გაგვაკრიტიკეს ჰაიფაში 0:3 რომ წავაგეთ? დიახ, მნიშვნელოვანია, რომ არ წავაგეთ. ცხადია, გოლის გაშვება ცუდი იყო, მაგრამ, ვფიქრობ, ამ თამაშიდან დასკვნების გამოტანა შეიძლება".

და ბოლოს, იმ ყმაწვილებზე, რომლებიც ფერგიუსონმა ამ შეხვედრაში გამოსცადა. ისინი გახლდნენ, 19 წლის დარენ ფლეტჩერი და 18 წლის კირენ რიჩარდსონი.

„რიჩარდსონი ძალიან ნიჭიერია — თქვა მწვრთნელმა — ასეთი კარგი დებიუტი დიდი ხანია არ მინახავს".

**პაპუნა ძედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მანჩესტერი** | 5 | 4 | 1 | 0 | 11:3 | 13 |
| **იუვენტუსი** | 5 | 2 | 1 | 2 | 10:9 | 7 |
| **დეპორტივო** | 5 | 1 | 1 | 3 | 5:8 | 4 |
| **ბაზელი** | 5 | 1 | 1 | 3 | 3:9 | 4 |

*„მანჩესტერი" გავიდა მეოთხედფინალში*

# ბუზი თუ სპილო?

## ვის მოუტყდება ტოტი?

**ლონდონის** „ჰაიბერიზე" გაძევებულმა ფრანჩესკო ტოტიმ, შესაძლოა, ითამაშოს ჩემპიონთა ლიგის მორიგ, გადამწყვეტ მატჩში ამსტერდამის „აიაქსთან". ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ დღევანდელ სხდომაზე უეფას სადისციპლინო კომიტეტი ჩათვლის, რომ მარტინ კიოუნი მატყუარაა.

ის, რომ თავად ტოტი ბრწყინვალე საფეხბურთო მონაცემებთან ერთად არანაკლებ შთამბეჭდავ სამსახიობო ნიჭსაც ფლობს, არავისთვისაა დასამალი, თუმცა მხოლოდ ამის გულისთვის კაცის გაძევება ხომ არ შეიძლება? დაახლოებით ასე ჟღერს რომაელთა მიერ უეფაში შეტანილი საჩივრის შინაარსი. საჩივრის მიზანი, ცხადია, ტოტის გამართლებაა.

„კიოუნი ფანტასტიკური მსახიობი ყოფილა" — თქვა „რომას" მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ — „ტოტიმ მითხრა, ნამდვილად არ შევხებივარო და მე მისი მჯერა" — თავკაცს მხარი აუბა კრისტიან პანუჩიმ: „კიოუნმა ბუზისგან სპილო შექმნა, რაც უბრალოდ გოთვერნობაა, თუმცა, სამწუხაროდ, ეს თანამედროვე ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია" — ამბობს დამიანო ტომაზი.

როგორც წესი, „არსენალის" მწვრთნელი არსენ ვენგერი ასეთ ბრალდებებზე ზოგადი და არაფრისმთქმელი კომენტარებით პასუხობს (არ დამინახავს და ა.შ.), თუმცა ამ შემთხვევაში მატჩის მნახველი კაცი ვერც კაპელოს დაეთანხმება — ტოტიმ ხელი გაშალა, მეტი არაფერი უქნიაო: გამეორებაზე ნათლად ჩანდა, თუ როგორ ემზადებოდა რომაელთა კაპიტანი კიოუნთან შეხლისთვის.

საკითხავი და უეფას გადასწყვეტი კი ესაა: შეეხო თუ არა ტოტი მასპინძელთა ვეტერან მცველს.

„თუ მისტერ კაპელო ასე კარგად მიცნობს, ისიც ეცოდინება, რომ მატყუარობა არასდროს მჩვევია. ყველამ დაინახა, რომ ტოტი ხელის ჩარტყმას მიპირებდა. შეჯახება შემლებისდაგვარად ავიცილე, მაგრამ თითი თვალში მომხვდა და დავეცი. ესაა და ეს" — მარტინ კიოუნს თავისი სიმართლე აქვს და ვიდეოჩანაწერის ეიმედება.

უნდა ითქვას, რომ ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა „არსენალის" ფეხბურთელთა ულირს საქციელზე საუბრობენ, თუმცა აქამდე მსგავსი ბრალდებები ძირითადად ახალგაზრდა ფრენსის ჯეფერსის მისამართით ისმოდა — მან ჯერ „ლივერპულთან", ხოლო გასულ შაბათს „ჩელსისთან" სათასო შეხვედრაში მსაჯებს არარსებული პენალტები გამოსტყუა.

**გიგა ძობახიძე**



ფოტობრალდება: ტოტი ამტკიცებს, კიოუნს არ შევხებივარო

# მე ვთქვი და ასე იქნება

## 40 წლის კუმანმა ბარსელონაზე ოცნებაც კრუიფისგან ისწავლა?

**რამდენიმე დღეში** რონალდ კუმანს 40 წელი შეუსრულდება. იუბილარი საკმაოდ კარგ ხასიათზეა, რადგან მისი „აიაქსი" ჩემპიონთა ლიგის B ჯგუფში პირველ ადგილზეა და მეოთხედფინალში გასასვლელად არცთუ ურიგო შანსი აქვს: „მეორე ჯგუფური ეტაპის დაწყებამდე ვინმეს რომ ეთქვა, ხუთი ტურის შემდეგ პირველ ადგილზე იქნებითო, აინუნშიც არ ჩავაგდებდი — ბრძანა კუმანმა — ალბათ „რეალი" ან „არსენალი" მოიგებს ლიგას, მაგრამ როცა „არსენალს" ორჯერ დაუზავდები, უკვე რწმუნდები, რომ ნებისმიერი მეტოქის წინააღმდეგ შეიძლება თამაში. მეოთხედფინალი თითქმის გარანტირებული გვაქვს".

ამსტერდამში იციან, რომ „აიაქსის" აღზევება რონალდ კუმანის დამსახურებაა. „როცა გუნდში მოვედი, ვითარება ამაზრზენი იყო, ახლა ყველაფერი საპირისპიროდ შეიცვალა. „აიაქსმა" ჩემპიონატიც მოიგო, თასიც და ჩემპიონთა ლიგაშიც კარგად თამაშობს. ბავშვობიდან ამბიციური ვარ და თუ მე ვთქვი, რომ „აიაქსს" ძველ სახელს დავუბრუნებ, ეს ასეც იქნება. იღბალიც ჩვენსკენაა. ჩემს განკარგულებაში ისეთი ფეხბურთელები არიან, ძველ აიაქსელებს მაგონებენ — პიენაარი, დე იონგი, სტეკელენბურგი, ვან დერ ვაარტი — აი, ის ხალხი, ვისი იმედიც მაქვს სამომავლოდ. თავად ფეხბურთელი ვიყავი და ესაც დამეხმარა მოთამაშეებთან საერთო ენის გამონახვაში".

„აიაქსი" კარგად კი თამაშობს, მაგრამ იშვიათია გუნდი, მასში მცირე კონფლიქტი მაინც არ არსებობდეს. მაგალითად, ვან დერ ვაარტმა და პიენაარმა საჯაროდ დაიწუწუნეს, საპრემიო თანხა არ გვაკმაყოფილებსო. კლუბის ბოსებმა ისინი მოათვინიერეს, თუმცა ევგიპტელ მიდოს კი გაეყარნენ. „რვაჯერ ან ცხრაჯერ რეჟიმის დარღვევაზე შეიძლება კიდევ დავხუჭო თვალი, მაგრამ მიდომ 25-ჯერ დაიგვიანა ვარჯიშზე. ის რომარიო არაა, რომელსაც „ბარსელონაში" დაგვიანებისთვის ხმას არავინ გასცემდა. მიდო რომ 5 მილიონი დოლარი ღირს, ეს ჩემთვის არაფერს ნიშნავს, აქ წესებს ყველა ერთნაირად უნდა დაემორჩილოს. ვარჯიშზე ერთი წუთით დაგვიანებაც კი მაცოფებს და თუ ფეხბურთელს მიზეზად „საცობი" მოჰყავს, ის პროფესიონალად არ მიმაჩნია".

რონალდ კუმანის სამწვრთნელო პრაქტიკაში ორიგინალური მეთოდებიც მოიძიება. მაგალითად, ვარჯიშის ან მატჩის შემდეგ ფეხბურთელები შეიყრებიან მწვრთნელთან და თავიანთ შეცდომებზე ესაუბრებიან.

აი, რას ამბობს იოჰან კრუიფის ყოფილი თანაშემწე ტონი ბრიუინს სლოტი: „კუმანმა ბევრი რამ ისწავლა კრუიფისგან. იოჰანი, როგორც მახსოვს, ხშირად იმეორებდა, მწვრთნელად მანამდე ვიმუშავებ, სანამ ჩემს ფეხბურთელებთან ერთად ვარჯიში შემეძლებაო".

ამსტერდამის „აიაქსმა" რონალდ კუმანს ვადის გასვლამდე 15 თვით ადრე კონტრაქტის გახანგრძლივება შესთავაზა, მაგრამ იგი, მიუხედავად „აიაქსის" უდიდესი სიყვარულისა, ყოყმანობს. მას არასოდეს დაუმალავს თავისი მთავარი ოცნება — „ბარსელონას" მწვრთნელობა და იმედი აქვს, რომ ერთ მშვენიერ დღეს კატალონიაში მწვრთნელად დაბრუნდება.

**მაშა ხუციშვილი**



რონალდ კუმანი „აიაქსის" მოძღვარია:
ფეხბურთელები მოედანზე ჩადენილ ცოდვებს უყვებიან

*მათიას ზამერმა ფეხბურთელის სამოსი ისე უპრობლემოდ გადაცვალა მწვრთნელის ხელობაზე, რომ ამ ამბავს დიდი ხმაური არ მოჰყოლია. წითური გერმანელი მინდორზეც გამორჩეული იყო და მოედნის კიდესთანაც ორიგინალურია. მისი თავკაცობით დორტმუნდის „ბორუსია" ევროპაში ანგარიშგასაწევ ძალად იქცა და დიდმა გიუნტერ ნეტცერმაც მათიას ზამერს სიტყვა შეაწია.*

# ჯადოქარი დორტმუნდიდან

ჩვენ პრაქტიკოსი მწვრთნელები გვჭირდება! ამას ვამტკიცებდი რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთ საგაზეთო წერილში. იმასაც ვამბობდი, რომ მოთამაშეებთან სახელმძღვანელოებით მუშაობა ცუდია. როგორც ჩანს, ჩემს ოცნებას ახდენა უწერია. ბუნდესლიგაში თანდათან მწვრთნელთა ახალი თაობა წამოვიდა საუკეთესო ევროპულ კლუბებში მიღებული გამოცდილებით.

ახალი თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელია მათიას ზამერი. საოცარია, რომ დორტმუნდის „ბორუსიას" მწვრთნელი ფეხბურთელობიდან ახალ საქმეზე ძალიან უმტკივნეულოდ, ბევრისთვის შეუმჩნევლად გადავიდა. თან ისე იოლად და სწრაფად, რომ განსაკუთრებული ჯაფა არ დასდგომია. მსგავსი რამ ფეხბურთში იშვიათად ხდება. დღეს უკვე შეიძლება ითქვას — ის თავის საქმეს ჩინებულად უძღვება.

ჩემი აზრით, აი, რა არის დორტმუნდელი ჯადოქრის წარმატების საიდუმლო: მას ჯერ არ დავიწყებია, რომ ახლო წარსულში თავად ფეხბურთელი იყო, ამიტომ მოთამაშეებს მათთვის გასაგებ ენაზე ესაუბრება. ის გუნდის ნაწილია, თან იმავდროულად მანძილსაც იცავს, რათა ავტორიტეტი არ დაკარგოს. ზამერი ამჟამად იდეალური „ბორუსიის" შექმნაზე მუშაობს. ცდილობს, ახალგაზრდებსა და გამოცდილებს შორის ჰარმონია დაამყაროს. არც იმის დავიწყება ეგების, რომ ზამერს გაუმართლა — მას ხომ ბრწყინვალე ფეხბურთელებით დახუნძლული გუნდი ჩააბარეს.

ზღაპრულად გაუმართლა კიდევ სხვა მხრივაც. გერმანიის საფეხბურთო კავშირის მკაცრი კანონების მიუხედავად, მისთვის გამონაკლისი დაუშვეს, დაჩქარებული სამწვრთნელო კურსები გაიარა და ლიცენზია მიიღო. ვთვლი, რომ ეს სწორი გადაწყვეტილებაა, კარგია, როცა დიდი ფეხბურთელები უპირატესობით სარგებლობენ. სისულელე იქნებოდა, მაგალითად, ფრანც ბეკენბაუერის სასწავლებლად კურსებზე გაშვება. პრაქტიკული ცოდნა მას ნებისმიერ პროფესორზე მეტი აქვს. ასეა ზამერიც — რიგიანად სამწვრთნელო კარიერა არც დაუწყია და უკვე ბევრს მიაღწია.

ხშირად ამბობენ, დიდი ფეხბურთელი ასევე დიდი მწვრთნელი ვერ დადგებაო. ზამერმა საწინააღმდეგო დაამტკიცა. ჯერჯერობით ის სასიამოვნო გამონაკლისია. ახლავე შეიძლება ითქვას, რომ გერმანიას მალე ახალი თაობის ბევრი ნიჭიერი მწვრთნელი ეყოლება. უფრო ენერგიული და მცოდნე, ვიდრე ძველები იყვნენ.

აღმოჩნდა, რომ პრაქტიკოს მწვრთნელებს გარდასახვის საოცარი უნარი აქვთ. რომლებიც ფეხბურთელობისას რეჟიმს ხშირად არღვევდნენ, უცბად მოწესრიგებულ, სამაგალითო მწვრთნელებად მოგვევლინენ. თუმცა მათიას ზამერი აქაც გამონაკლისია. ის ფეხბურთელობისასაც უაღრესად დისციპლინირებული იყო და იგივეს მოითხოვს თავისი მოთამაშეებისგანაც. როცა ისინი ხედავენ, თუ როგორაა მომართული მწვრთნელი მოსაგებად, თვითონაც იმუხტებიან. გარდა ამისა, ზამერს შეუძლია, ფეხბურთელი მისსავე შესაძლებლობებში დაარწმუნოს და აგრძნობინოს, რომ მას გაცილებით მეტი შეუძლია.

ვფიქრობ, პრაქტიკოსმა მწვრთნელებმა თავიანთი მასწავლებლებისგან ბრმად არ უნდა გადაიღონ ყველაფერი. მათ მხოლოდ საუკეთესო უნდა შეითვისონ და საკუთარი სტილი ჩამოაყალიბონ. არ ვიცი, ისწავლა თუ არა რამე ზამერმა კრისტოფ დაუმისგან, მაგრამ თუ ისწავლა, კარგია. თუმცა ვერ წარმომიდგენია, რომ ზამერმა დაუმივით თავისი მოწაფეები შუშებზე სირბილში ავარჯიშოს.

რაც შეეხება პრესასთან ურთიერთობას, მათიას ზამერს ოტმარ ჰიცფელდისგან რომ ესწავლა, ურიგო არ იქნებოდა. „ბორუსიას" მწვრთნელი ამტკიცებს, ყოველდღე საკუთარი გუნდის შესახებ ერთი და იგივეს საუბარი მოსაწყენიაო. არა უშავს, გაიზრდება და მიხვდება, რომ გაჯიუტება არ ღირს. თუმც გარკვეულწილად მესმის მისი. ზამერს იმდენი აქვს, საქმე ჟურნალისტებთან საუბრისთვის არ სცალია. ვგონებ, დღეს ბუნდესლიგელ მწვრთნელებს შორის ერთადერთი ჰიცფელდია, რომელსაც აუღელვებლად შეუძლია უპასუხოს ნებისმიერი რაოდენობის კითხვას, ნებისმიერ დროს. სხვათა შორის, ოტმარ ჰიცფელდმა, როცა იგი ზამერის მწვრთნელი იყო, ერთხელ აღნიშნა, მან ჩემზე უკეთ იცის ყველაფერიო. ვფიქრობ, რომ ეს მაშინ უბრალოდ კომპლიმენტი იყო. ახლა კი სულ სხვაა. ზამერმა ბევრი რამ ისწავლა ჰიცფელდისგან, საკუთარი ცოდნითაც შეაზავა და შედეგიც მიიღო.

ორიოდე კვირის წინ „ბორუსიაში" აგორებულმა სკანდალმა, ზამერის სახელი ოდნავ შებღალა. იენს ლემანი თანაგუნდელ ამორუზოსთან ჩხუბის გამო მოედნიდან გააძევეს. ვფიქრობ, ეს მწვრთნელის ბრალი არაა, მეკარეები ხომ საერთოდ ამოუცნობი ხალხია. არც ბრაზილიელები არიან ანგელოზები: შვებულებიდან კლუბში დროზე იშვიათად ბრუნდებიან. ჩვენი მწვრთნელთა უმეტესობა შეეჩვია ამას, მცირე დარღვევებს ზოგჯერ წაუყრუებენ. მათიას ზამერიც, როგორც სხვები, იძულებულია, ხანდახან მიუტევოს სამხრეთამერიკელებს.


მათიას ზამერი

**გიუნტერ ნეტცერი**



ლუის ენრიკეს კუნთი გაუზომეს და დრო დაუთვალეს

# 1000 მიზეზი

## განწყვეტილ კაპიტანს ექვს კვირაში გააკარავენ

## შეიდეთ რიკელმეს მაღვიძარა

*წინა უქმეებზე, პრიმერადივიზიონის 25-ე ტურში, „ვალიადოლიდთან" შეხვედრისას ლუის ენრიკე დაშავდა. შეგახსენებთ, რომ „ბარსას" კაპიტანი შეცვლაზე შევიდა ხუან რომან რიკელმეს მაგივრად და რვა წუთში თავადაც შესაცვლელი შეიქნა. ლუის ენრიკეს ტრავმაზე მაშინვე გამცნეთ, მით უმეტეს, რომ ის ახალი დაბრუნებული იყო ლაზარეთიდან, ტრავმის რეციდივი კი ყოველთვის გამორჩეულ ყურადღებას იპყრობს, თან ლუის ენრიკეს მნიშვნელობასაც თუ გავითვალისწინებთ კატალონიური გუნდისთვის.*





რადომირ ანტიჩისგან შერისხულ რომან რიკელმეს თანაგუნდელები ტაშით თუ გაამხნევებენ

სახელდახელო შემოწმებამ კაპიტანს კუნთის გაწყვეტა დაუდგინა და ექიმებმა მისი ექვსკვირიანი უქმობა ივარაუდეს. მერე ფეხბურთელი, ცხადია, საგულდაგულოდ შეამოწმეს და თავდაპირველი ვარიანტი ძალაში დარჩა. ამის თაობაზე „ბარსელონას" ექიმმა რიკარდო პრუნამ განაცხადა: „კუნთი რომ გაწყვეტილი იყო, მალე დავადგინეთ, შემდგომი გამოკვლევებით კი გაწყვეტილი ადგილის ზომა განვსაზღვრეთ. ასეთი ტრავმისას რეაბილიტაციის პერიოდი ოთხიდან ექვს კვირამდე გრძელდება, მაგრამ მოდით, რეალისტები ვიყოთ და ექვსი კვირა ვთქვათ".

ექიმს კითხვები დააყარეს: რა გახდა ტრავმის მიზეზი, ან ეგებ შეცდომა იყო ახლადმოშუშებული ფეხბურთელის მოედანზე გაყვანაო. პრუნამ უპასუხა: „მიზეზის ან მიზეზების ზუსტად დასახელება შეუძლებელია. შესაძლოა, მიზეზი მხოლოდ ერთი იყო, შესაძლოა, ათასი სხვადასხვა ფაქტორის დამთხვევასთან გვქონდეს საქმე. რაც შეეხება ლუის ენრიკეს დაბრუნებას, პასუხისმგებელი ვარ, რომ არ ავჩქარებულვართ. გაუმართლებელი რისკის გაწევა არ გვჩვევია და რადგან მას თამაშის უფლება მივეცით, ესე იგი, ის სავსებით მომჯობინებული იყო".

ასეა თუ ისე, ლუის ენრიკეს საკითხი გარკვეულია, ის ექვსი კვირა იმკურნალებს და ისევ მოედანზე გავა. აი, რომან რიკელმესი კი რა მოგახსენოთ — არგენტინელსა და მწვრთნელს შორის მოზრდილმა შავმა კატამ გაირბინა.

გვარიანად გაწელილი მოლაპარაკებების შემდეგ „ბარსელონაში" დიდი ზარზეიმით გადაყვანილი ფეხბურთელი რომ ისე ვერ თამაშობს, როგორც „ბოკა ხუნიორსში" ირჯებოდა, შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს. ამ ფაქტს თავდაპირველად რიკელმესა და ლუის ვან გაალს შორის გაჩენილ ბზარს აბრალებდნენ და თითს ჰოლანდიელი მწვრთნელისკენ იშვერდნენ, ადამიანებთან ურთიერთობა არ ეხერხებაო. მაგრამ ვან გაალი წავიდა, პრობლემა კი დარჩა და ძნელი დასაჯერებელია, რიკელმე მუდამ მართალი იყოს და ყოველთვის მწვრთნელები ტყუოდნენ.

ორი კვირის წინ რადომირ ანტიჩმა რიკელმე ვარჯიშზე დაგვიანებისთვის დასაჯა და ურთიერთობა ძალიან რომ არ გაემწვავებინა, გაეხუმრა კიდეც, მალვიძარა იყიდე, დაგვიანებისთვის ჯარიმების გადახდაზე იაფი დაგიჯდებაო.

არაფერმა გაჭრა. როცა „ვალიადოლიდთან" ნახსენებ თამაშში შეცვალეს, რიკელმე დაბოღმილი გაემართა სათადარიგოთა სკამისკენ, გუშინწინდელ ვარჯიშზე კი ისევ დააგვიანა.

რიკელმეს რაღაც არევია. გასახდელში შესულს იქ აღარავინ დახვდა და „ლა მარიას" სავარჯიშო მოედანზე გასწია. იქ არავინ ვარჯიშობდა. იფიქრა, „კამპ ნოუზე" იქნებიანო და იქაც სიცარიელე დახვდა. ბედად ვიღაცამ უთხრა, ანტიჩი გუნდს „მინი ესტადიოზე" ავარჯიშებსო. იქ მისულს თანაგუნდელები ტაშით შეხვდნენ, აქაოდა, ანტიჩი მორიგ ჯარიმას რომ გამოგიწერს, გულს დიდად ნუ გაიტეხო.

ეს გარემოებანი და ტიაგო მოტას დაბრუნება, რიკელმეს ბარსელონურ მომავალს კარგს არაფერს უქადის.

**გიორგი დარჯანია**

# ფიფას პრეზიდენტი რომ ვიყო

## პელემ იცის, მაგრამ არ უნდა

*მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის მასპინძლები ბერლინში საორგანიზაციო საკითხებს იხილავდნენ და მრავალი სტუმარიც ჰყავდათ მიწვეული. სტუმართა შორის 62 წლის პელეც იყო, რომელმაც ზოგადად ფეხბურთზე და ცხოვრებაზე ისაუბრა.*

— ტექნიკური პროგრესი კარგია, მაგრამ ხანდახან ის დრო მენატრება, სახლში დასარეკად ტელეფონს რომ ვეძებდი. მახსოვს, 1958-ში, შვედეთში ჩემპიონები რომ გავხდით, დედასთან დარეკვა მეწადა, თუმცა ტელეფონს ვერ მივაგენი და ერთი დღე მოცდა მომიწია. ახლა მობილურით ერთს დააწკაპუნებ და ეგ არის. კი, სასიამოვნოა, მაგრამ ძალიან მარტივია.

*ცხადია, მას შემდეგ, რაც პელემ ბუცები ჩამოკიდა, ტელეფონის გარდა კიდევ ბევრი რამ შეიცვალა.*

— მე 30 წელიწადი ვაგორე ბურთი და მოვაგროვე იმდენი ფული, რამდენსაც დღეს ფეხბურთელი 2-3 წელში იშოვის. საფეხბურთო სტრუქტურებში ცვლილებები მოზღვავებულმა კაპიტალმაც გამოიწვია, თვითონ თამაში კი თითქმის ისეთივეა, როგორიც იყო. მატჩის ბედს ძირითადად დიდი ფეხბურთელები წყვეტენ.

*ბრაზილიის სპორტის ყოფილ მინისტრს ხშირად სარეკლამო რგოლებშიც იღებდნენ.*

— უამრავი კომპანია მთხოვს ხოლმე მათი პროდუქციის წარმოჩენას. თუნდაც სიგარეტის ან ვისკის რეკლამაზე შემეძლო გამდიდრება, მაგრამ მე ჯანსაღი ცხოვრების წესს ვქადაგებ და თამბაქოს და ალკოჰოლს ვერ დავუმეგობრდები.

*პელემ პელეს პოპულარობაზეც თქვა ორიოდ სიტყვა.*

— 17 წლის ლლაპი მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვჩნდი. მერე მთელი მსოფლიო შემოვიარე, თვითონ ფეხბურთი მაშინ იფურჩქნებოდა და ხალხი რომ მცნობდა, ალბათ ჩემი კარგი თამაშის ბრალი იყო.

*ბრაზილიელმა რჩევა-დარიგებაც არ დაიშურა ფიფასთვის.*

— ფიფამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს განვითარებად ქვეყნებს. იქაურ მწვრთნელებს კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ხოლო ეროვნულ ფედერაციებს ჩემპიონატების სათანადოდ მოწყობაში დახმარება სჭირდება. მე რომ ფიფას პრეზიდენტი ვიყო, უპირველესად ამ საკითხს მოვაგვარებდი, მაგრამ პრეზიდენტობა, სამწუხაროდ, არასოდეს მსურდა.

*პელეს არც საკუთარი სამშობლო დავიწყებია.*

— ბრაზილიის საფეხბურთო მეურნეობა უვარგისია. ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონები ვართ, მაგრამ შინაური ჩემპი-



ონატი უკეთესი რომ გვქონდეს, ოთხ წელიწადში ერთხელ მსოფლიოს თასი განაღდებული გვექნებოდა.

**მაშა ხუციშვილი**

## ინგლისი

### პირველი დივიზიონი

### გადადებული მატჩები

**პორტსმუთი 3:2 ნორვიჩი**

1:0 აიგბენი (57), 1:1 ისტონი (58), 2:1 ტოდოროვი (59), 2:2 რივერსი (62), 3:2 ტოდოროვი (72)

**რედინგი 0:1 ვულვერჰემპტონი**

0:1 მილერი (44)

**შეფილდ იუნ. 4:2 ბარნლი**

1:0, 2:0 მ. ბრაუნი (17, 36), 2:1 გ. ტეილორი (64), 3:1, 4:1 ნდლოვუ (66, 72), 4:2 ბლეიქი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 36 | 22 | 10 | 4 | 76:36 | 76 |
| ლესტერი | 36 | 20 | 11 | 5 | 58:32 | 71 |
| შეფილდი | 34 | 18 | 7 | 9 | 55:38 | 61 |
| რედინგი | 36 | 19 | 4 | 13 | 45:34 | 61 |
| ნოტინგემი | 35 | 16 | 11 | 8 | 62:36 | 59 |
| ვულვზი | 36 | 16 | 11 | 9 | 62:37 | 59 |
| იფსვიჩი | 36 | 13 | 12 | 11 | 55:46 | 51 |
| ნორვიჩი | 35 | 13 | 10 | 12 | 46:37 | 49 |
| ჯილინგემი | 35 | 13 | 10 | 12 | 48:49 | 49 |
| როტერჰემი | 36 | 13 | 9 | 14 | 52:50 | 48 |
| ბარნლი | 34 | 13 | 9 | 12 | 50:60 | 48 |
| კრ. პალასი | 35 | 11 | 14 | 10 | 46:40 | 47 |
| უიმბლდონი | 35 | 12 | 11 | 12 | 59:60 | 47 |
| პრესტონი | 35 | 12 | 11 | 12 | 53:54 | 47 |
| ქოვენთრი | 36 | 12 | 11 | 13 | 41:44 | 47 |
| მილუოლი | 36 | 13 | 8 | 15 | 42:55 | 47 |
| უოტფორდი | 36 | 13 | 8 | 15 | 39:53 | 47 |
| დერბი | 36 | 12 | 7 | 17 | 45:55 | 43 |
| ბრედფორდი | 35 | 11 | 9 | 15 | 42:55 | 42 |
| უოლსოლი | 35 | 11 | 7 | 17 | 46:52 | 40 |
| ბრაიტონი | 36 | 8 | 8 | 20 | 36:55 | 32 |
| სტოკი | 36 | 7 | 11 | 18 | 36:63 | 32 |
| უენსდი | 36 | 6 | 12 | 18 | 37:59 | 30 |
| გრიმსბი | 36 | 7 | 9 | 20 | 41:72 | 30 |

## ჰოლანდია

### პირველი დივიზიონი

### გადადებული მატჩი

**გრააფსხაპი 1:0 უტრეხტი**

1:0 ვან დერ ჰაარი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 23 | 19 | 3 | 1 | 56:11 | 60 |
| აიაქსი | 23 | 16 | 5 | 2 | 60:21 | 53 |
| ფეიენოორდი | 23 | 15 | 4 | 4 | 61:28 | 49 |
| ვალვაიკი | 23 | 11 | 4 | 8 | 27:27 | 37 |
| როდა | 23 | 10 | 6 | 7 | 37:33 | 36 |
| ნაიმეგენი | 23 | 10 | 6 | 7 | 29:29 | 36 |
| უტრეხტი | 23 | 9 | 8 | 6 | 33:27 | 35 |
| ბრედა | 23 | 8 | 9 | 6 | 28:22 | 33 |
| ტილბურგი | 23 | 9 | 4 | 10 | 35:33 | 31 |
| ალკმაარი | 23 | 8 | 5 | 10 | 34:52 | 29 |
| ჰერენვენი | 23 | 7 | 7 | 9 | 37:37 | 28 |
| ტვენტე | 23 | 6 | 9 | 8 | 26:33 | 27 |
| როზენდალი | 23 | 7 | 4 | 12 | 24:35 | 25 |
| ვიტესი | 23 | 5 | 5 | 13 | 22:32 | 20 |
| გრონინგენი | 23 | 5 | 5 | 13 | 23:35 | 20 |
| ექსელსიორი | 23 | 4 | 7 | 12 | 27:45 | 19 |
| გრააფსხაპი | 23 | 4 | 5 | 14 | 21:48 | 17 |
| ზვოლე | 23 | 4 | 4 | 15 | 19:51 | 16 |

## საფრანგეთი

### მეორე დივიზიონი

### გადადებული მატჩი

**კაენი 2:0 ნანსი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტულუზი | 28 | 16 | 7 | 5 | 42:18 | 55 |
| მეცი | 28 | 14 | 8 | 6 | 37:23 | 50 |
| შატორუ | 28 | 14 | 7 | 7 | 33:23 | 49 |
| ლე მანი | 29 | 13 | 10 | 6 | 35:28 | 49 |
| ლორიანი | 28 | 13 | 8 | 7 | 33:25 | 47 |
| ლავალი | 28 | 11 | 6 | 11 | 29:30 | 39 |
| გრენობლი | 29 | 9 | 11 | 9 | 30:20 | 38 |
| კლერმონი | 29 | 11 | 5 | 13 | 34:40 | 38 |
| კაენი | 29 | 8 | 12 | 9 | 33:33 | 36 |
| ამიენი | 27 | 9 | 8 | 10 | 19:21 | 35 |
| ვალანსი | 29 | 9 | 8 | 12 | 30:33 | 35 |
| ნიორი | 29 | 9 | 8 | 12 | 29:33 | 35 |
| ნანსი | 28 | 8 | 9 | 11 | 26:35 | 33 |
| კრეტეი | 27 | 6 | 13 | 8 | 29:30 | 31 |
| გენიონი | 26 | 8 | 7 | 11 | 23:28 | 31 |
| ისტრი | 29 | 7 | 10 | 12 | 22:42 | 31 |
| სენტ ეტიენი | 27 | 6 | 12 | 9 | 22:25 | 30 |
| ვასკეალი | 27 | 5 | 14 | 8 | 17:22 | 29 |
| ბოვე | 28 | 7 | 8 | 13 | 14:22 | 29 |
| რეიმსი | 27 | 5 | 13 | 9 | 22:28 | 28 |

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა

### გადადებული მატჩი

**პაშინგი 3:0 რიდი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 24 | 16 | 5 | 3 | 48:16 | 53 |
| პაშინგი | 24 | 11 | 7 | 6 | 33:22 | 40 |
| შტურმი | 24 | 11 | 3 | 10 | 34:40 | 36 |
| გრაცერი | 24 | 9 | 8 | 7 | 35:27 | 35 |
| რაპიდი | 23 | 8 | 8 | 7 | 31:26 | 32 |
| რიდი | 24 | 8 | 7 | 9 | 30:29 | 31 |
| ზალცბურგი | 24 | 7 | 7 | 10 | 27:38 | 28 |
| კერნტენი | 24 | 6 | 6 | 12 | 27:37 | 24 |
| ადმირა | 23 | 5 | 8 | 10 | 20:38 | 23 |
| ბრეგენცი | 24 | 4 | 9 | 11 | 30:42 | 21 |

UAB "Billjardai"
Zeus Company
Billjardai
ბილიარდის მაგიდები და აქსესუარები
1000-ზე მეტი დასახელების



saluc
Master
კონსულტაციები, გარანტია
ფასდაკლება, რემონტი, რესტავრაცია
ტ. 95-57-75, ტ/ფაქსი: 95-88-46
თბილისი, ჭონქაძის ქ. N2 (ცირკ. კამი)

Copa Toyota Libertadores '2003

## ლიბერტადორესის თასი 2003

### II ჯგუფი. III ტური

**სპორტინგ კრისტალი (პერუ) 1:1 სერო პორტენო (პარაგვაი)**

1:0 ხ. სოტო (39), 1:1 სალკედო (59)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პაისანდუ | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| სერო პორტენო | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| სპორტინგ კრისტალი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| უნივერსიდად კათოლიკა | 3 | 0 | 0 | 3 | 3:7 | 0 |

### III ჯგუფი. III ტური

**ელ ნასიონალი (ეკვადორი) 0:0 სანტოსი (ბრაზილია)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანტოსი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:2 | 7 |
| ამერიკა | 3 | 1 | 1 | 1 | 6:7 | 4 |
| 12 დე ოქტუბრე | 3 | 1 | 1 | 1 | 5:8 | 4 |
| ელ ნასიონალი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | 2 |

### VI ჯგუფი. III ტური

**რასინგი (არგენტინა) 2:0 ორიენტე პეტროლერო (ბოლივია)**

1:0 რუედა (6), 2:0 ოროსკო (56)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტარიო | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| რასინგი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ნასიონალი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ორიენტე პეტროლერო | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

საქართველოს უმაღლესი ლიგა 14 ჩემპიონატი მეორე ეტაპი

# 1 ტური

ანონსი

*მე-14 ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპი ჩემპიონთა თამაშით განახლდება — სამჯ ზის მოოქროვილი „ტორპედო" ათჯერ გაჩემპიონებულ „დინამოს" დაუხვდება. ცხადია, ტურის ცენტრალურ მატჩად ქუთაისური შეხვედრა მივიჩნიეთ. თბილისელები ქუთაისს გუშინ ეწვივნენ და იქაურ „ტორპედოზე" ნაშუადღევს ივარჯიშეს. მასპინძლები კი სალორიის ბაზაზე რამდენიმე დღეა შეკრებილან და დღევანდელი ჯახისთვის მონდომებით ემზადებოდნენ. გუშინვე ორივე გუნდის ფეხბურთელებს შევეხმიანეთ და საამმატჩოდ კომენტარი ვთხოვეთ*

# შაშიაშვილი გაფრთხილებთ: ქუთაისი ძალაზეა!

## ტორპედო VS დინამო



*ზურაბ იონანიძე:*

— წინასწარ არაფრის თქმა არ შემიძლია. ყველაფერს თავად შეხვედრა გამოაჩენს. ბუნებრივია, მოსაგებად ვიბრძოლებთ და თუ ეს შევძელით, ძალიან გამიხარდება. ჩემთვის ნებისმიერი გოლი ბევრს ნიშნავს, თუმც „დინამოს" კარში გატანილს, ცხადია, „ტორპედოსთვის" დიდი მნიშვნელობა ექნება. ვეცდები, თავი გამოვიჩინო.

*სოსო ფრუიძე „ტორპედოს" მწვრთნელი:*

— საგაზაფხულო ეტაპზე თითქმის ყველა თამაში რთული იქნება. განსაკუთრებით „დინამოსთან" მატჩი გაგვიჭირდება. მართალია, ბოლნისის „სიონიც" სერიოზულად გაძლიერდა, მაგრამ, ვფიქრობ, „დინამოს", „ლოკომოტივს", „ვიტ ჯორჯიასა" და „ტორპედოს" საჩემპიონო ჭიდილში ბოლნისელები ვერ ჩაერევიან. ამიტომ „დინამოსთან" უფრო მეტი შემართება გვმართებს. ბრძოლა შეუპოვარი იქნება. თან რამდენიმე დღეა, ქუთაისში წვიმს და ის გაიმარჯვებს, ვინც ფიზიკურად უკეთესად იქნება მომზადებული. ალბათ, უფრო კონტაქტური ფეხბურთი გაჩაღდება. ბევრი ლაპარაკობს იმაზე, რომ „ტორპედო" დასუსტდა. ასათიან-დიდავა-ქემოკლიძის წასვლა რომ უდიდესი დანაკლისია, ჩვენც ვაღიარებთ, მაგრამ ისიც გავითვალისწინოთ, რომ მათ შემცვლელებად შეგულებულ ბიჭებს თავიანთი ძალა დასამტკიცებელი აქვთ. ერთი სიტყვით, თავს არ დავზოგავთ და სამი ქულისთვის ვიბრძოლებთ. იმედი მაქვს, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება.

*შოთა ბაბუნაშვილი:*

— ამ მატჩისთვის სერიოზულად ვემზადებით. ვფიქრობ, საინტერესო თამაში იქნება. დაძაბულობა კი, ცხადია, დიდია. თუ გაგვიმართლებს, ალბათ, მოვიგებთ კიდეც. ბევრი რამ იღბალზეც იქნება დამოკიდებული, თუმც ჩვენ ცდას ნაღდად არ დავაკლებთ.

*რომან ახალკაცი:*

— „დინამოს" დამარცხება ჩვენთვის ძალიან დიდი სტიმულია და სამმატჩოდ სერიოზულად ვემზადებით. ჩემი უპირველესი მიზანი „ტორპედოს" მოგებაა. იმედი მაქვს, ყველაფერი ჩვენს სასიკეთოდ დასრულდება.

**ბაჩა შალამბერიძე**



*გიორგი შაშიაშვილი:*

— სიცხე კი მქონდა, მაგრამ ახლა თავს ნორმალურად ვგრძნობ. „დინამოს" თითქმის ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა — მიხეილ ბობოხიძეა გრიპშეყრილი. თუ გავიმარჯვებთ, ჩემპიონობისკენ ერთი დიდ ნაბიჯს გადავდგამთ. ვფიქრობ, „დინამოს" ყველა ფეხბურთელი ამ თამაშში თავს დადებს.

**— „ტორპედო" რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა რომ დატოვა, ეს საქმეს გაგიიოლებთ?**

— „ტორპედოს" მართლა მოაკლდა ფასეული მოთამაშეები, მაგრამ ცალსახად ვერავინ იტყვის, რომ ამით ქუთაისელები დასუსტდნენ — „ტორპედო" ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალა იქნება.

*არჩილ სახვაძე:*

— არანაირი ფრე, მხოლოდ მოგება — ყველა დინამოელი მზადაა ამისთვის. ვერ ვიტყვი, ეს მატჩი ჩემპიონობისთვის ბრძოლაში გადამწყვეტი იქნებაო, მაგრამ „დინამოს" ფეხბურთელებს ერთი სული გვაქვს, რომ ქუთაისური შეხვედრა მოვიგოთ.

*რატი ალექსიძე:*

— ბიჭები მხოლოდ მოგებისთვის ვართ დაქოქილები.

**— რაც „ჩელსიდან" საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს დაუბრუნდი, ქუთაისში ჯერ არ გითამაშია...**

— მართალია, მაგრამ მანამდე რამდენჯერაც ქუთაისში ჩავედი, ყოველთვის კარგად ვითამაშე. „დინამომ" ძალიან ნაყოფიერი მოსამზადებელი ეტაპი გაიარა და ვფიქრობთ, ჩემპიონობისთვის ყველაზე დიდი პერსპექტივა ჩვენ გვაქვს.

**— სანამ „ჩელსიში" წახვიდოდი, „ტორპედო" „დინამოს" დიდ პრობლემებს ვერ უქმნიდა, მაგრამ ბოლო სამი წელიწადია, სხვანაირადაა საქმე...**

— ვიცი, რომ ქუთაისში თამაში ძნელია, მაგრამ დინამოელები შეკრებაზე ისე შევთამაშდით, რომ ხელს ვეღარაფერი შეგვიშლის — „დინამოსთვის" ჩემპიონობა კვლავ ტრადიციად უნდა ვაქციოთ.

*ალეკო გოგობერიშვილი:*

— მძიმე თამაში გველის, მაგრამ ამისთვის მზად ვართ, „დინამოში" ჯანსაღი და საბრძოლო განწყობაა.

**—„ტორპედო" შინ თამაშობს და ქუთაისელი გულშემატკივრების მხარდაჭერა ალბათ ძალიან მნიშვნელოვანია ტორპედოელებისთვის — ქუთაისის სტადიონზე ხშირად მომხდარა ექსცესები, როცა იქ „ტორპედო" — „დინამოა"...**

— მერე რა?! შეჩვეულები ვართ ჩვენს მიმართ ცუდ განწყობას, მაგრამ ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი არ არის.

**დავით თავართქილაძე**

## I–VI ადგილები

ქუთაისი. ტორპედო. 14 მარტი. 15 საათი

### ტორპედო — დინამო

მსაჯები: მ. მაღალურაძე; ლ. სილაგავა, (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); დ. სანაია (სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე; დირექტორი: გ. ძამუკაშვილი

ფოთი. ფაზისი. 14 მარტი. 15 საათი

### კოლხეთი — ლოკომოტივი

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ზ. ჯვარიძე (თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); გ. ახკაროლლი (ქარელი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში; დირექტორი: ბ. სიჭინავა
დისკვალიფიცირებული: ქუტიძე (კოლხეთი)

ბოლნისი. თემურ სტეფანია. 14 მარტი. 15 საათი

### სიონი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ა. შილაკაძე; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი; დირექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

## VII–XII ადგილები

ზესტაფონი. ცენტრალური. 14 მარტი. 15 საათი

### მეტალურგი — დილა

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), მ. ურუშაძე (თბილისი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე; დირექტორი: ვ. ელოშვილი

თბილისი. ისანი. 14 მარტი. 15 საათი

### მერანი-ოლიმპი — ბათუმი

მსაჯები: ა.შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუხიშვილი (სამივე ქუთაისი); ა. მეშკოვი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო; დირექტორი: რ. ურუშაძე
დისკვალიფიცირებულნი: მესხი (მერანი-ოლიმპი); კობიძე (ბათუმი)

გურჯაანი. დავით ყიფიანი. 14 მარტი. 15 საათი

### მილანი — გორდა

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა; დირექტორი: გ. ჯიშკარიანი

| I–VI ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 28 |
| ტორპედო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 26 |
| ლოკომოტივი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 25 |
| ვიტ ჯორჯია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 25 |
| სიონი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 15 |
| კოლხეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 15 |

| VII–XII ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერანი-ოლიმპი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 12 |
| დილა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 11 |
| ბათუმი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 10 |
| მეტალურგი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 10 |
| გორდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 7 |
| მილანი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 7 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 17 - იონანიძე | ტორპედო |
| 15 - მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| 11 - დარასელია | დინამო |
| 9 - კოშკაძე | სიონი |
| 8 - შავგულიძე | სიონი |
| გოდერძიშვილი | მილანი |
| გოცირიძე | |

# კალენდარი

I–VI ადგილებისთვის

| პირველი წრე | მეორე წრე |
|---|---|
| **პირველი ტური** | **მეექვსე ტური** |
| 14 მარტი. პარასკევი | 2 მაისი. პარასკევი |
| ტორპედო – დინამო | ვიტ ჯორჯია – სიონი |
| კოლხეთი – ლოკომოტივი | 3 მაისი. შაბათი |
| სიონი – ვიტ ჯორჯია | დინამო – ტორპედო |
| | ლოკომოტივი – კოლხეთი |
| **მეორე ტური** | **მეშვიდე ტური** |
| 22 მარტი. შაბათი | 11 მაისი. კვირა |
| ლოკომოტივი – სიონი | ვიტ ჯორჯია – დინამო |
| 23 მარტი. კვირა | კოლხეთი – ტორპედო |
| დინამო – ვიტ ჯორჯია | სიონი – ლოკომოტივი |
| ტორპედო – კოლხეთი | |
| **მესამე ტური** | **მერვე ტური** |
| 6 აპრილი. კვირა | 17 მაისი. შაბათი |
| კოლხეთი – დინამო | დინამო – კოლხეთი |
| სიონი – ტორპედო | 18 მაისი. კვირა |
| ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი | ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია |
| | ტორპედო – სიონი |
| **მეოთხე ტური** | **მეცხრე ტური** |
| 15 აპრილი. სამშაბათი | 22 მაისი. ხუთშაბათი |
| დინამო – ლოკომოტივი | ლოკომოტივი – დინამო |
| ტორპედო – ვიტ ჯორჯია | ვიტ ჯორჯია – ტორპედო |
| კოლხეთი – სიონი | სიონი – კოლხეთი |
| **მეხუთე ტური** | **მეათე ტური** |
| 23 აპრილი. ოთხშაბათი | 30 მაისი. პარასკევი |
| სიონი – დინამო | დინამო – სიონი |
| ვიტ ჯორჯია – კოლხეთი | კოლხეთი – ვიტ ჯორჯია |
| 24 აპრილი. ხუთშაბათი | ტორპედო – ლოკომოტივი |
| ლოკომოტივი – ტორპედო | |

VII–XII ადგილებისთვის

| პირველი წრე | მეორე წრე |
|---|---|
| **პირველი ტური** | **მეექვსე ტური** |
| 14 მარტი. პარასკევი | 2 მაისი. პარასკევი |
| მეტალურგი – დილა | დილა – მეტალურგი |
| მერანი-ოლიმპი – ბათუმი | ბათუმი – მერანი-ოლიმპი |
| მილანი – გორდა | გორდა – მილანი |
| **მეორე ტური** | **მეშვიდე ტური** |
| 22 მარტი. შაბათი | 10 მაისი. შაბათი |
| დილა – გორდა | გორდა – დილა |
| ბათუმი – მილანი | მილანი – ბათუმი |
| მეტალურგი – მერანი-ოლიმპი | მერანი-ოლიმპი – მეტალურგი |
| **მესამე ტური** | **მერვე ტური** |
| 5 აპრილი. შაბათი | 17 მაისი. შაბათი |
| მერანი-ოლიმპი – დილა | დილა – მერანი-ოლიმპი |
| მილანი – მეტალურგი | მეტალურგი – მილანი |
| გორდა – ბათუმი | ბათუმი – გორდა |
| **მეოთხე ტური** | **მეცხრე ტური** |
| 14 აპრილი. ორშაბათი | 22 მაისი. ხუთშაბათი |
| დილა – ბათუმი | ბათუმი – დილა |
| მეტალურგი – გორდა | გორდა – მეტალურგი |
| მერანი-ოლიმპი – მილანი | მილანი – მერანი-ოლიმპი |
| **მეხუთე ტური** | **მეათე ტური** |
| 23 აპრილი. ოთხშაბათი | 30 მაისი. პარასკევი |
| მილანი – დილა | დილა – მილანი |
| გორდა – მერანი-ოლიმპი | მერანი-ოლიმპი – გორდა |
| ბათუმი – მეტალურგი | მეტალურგი – ბათუმი |

18 მარტი, სამშაბათი. თასის მეოთხედფინალი. პირველი მატჩები
10 აპრილი, ხუთშაბათი. თასის მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები
19 აპრილი, შაბათი. თასის ნახევარფინალი. პირველი მატჩები
7 მაისი, ოთხშაბათი. თასის ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები
26 მაისი, კვირა. თასის ფინალი

*დღეიდან მაისის ბოლომდე ქართული ფეხბურთის ქომაგი უმაღლეს ლიგაში მობურთალი გუნდების გარჯით „დატკბება". ჩვენც დავასრულეთ მათი წარდგენა, წრეებსშორის მოსამზადებელი პერიოდი მიმოვიხილეთ.*

*საჩემპიონოდ შემართულ „ლოკომოტივს", ვფიქრობთ, კარტი ბოლომდე ჯერ არ გაუხსნია, „ვიტ ჯორჯიაც" სათავისოდ ფიქრობს და მიზნად უეფას თასის საგზურის მოპოვება დაუსახავს, თუმც პირველობისთვისაც რომ იბრძოლებს, ფაქტია.*

*სულ სხვა მიზნები ამოძრავებთ დედაქალაქურ „მერანი-ოლიმპს" და კახურ „მილანს". ამათი მაქსიმუმი ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება.*

## ლოკომოტივი (თბილისი)

# აკაკი ჩხაიძის მეთოთხმეტე სიმფონია

## დირიჟორი ლუის ცაკარიასი, ასრულებენ ნანა და ლოკომოტივი

**ქართული** „შემადგენლობით" ზედიზედ ორი წელიწადი ეჭიდავა თბილისური „ლოკომოტივი" ქუთაისურ „ტორპედოს", მაგრამ მხოლოდ ვიცე-ჩემპიონობას და თასს გამორჩა. შედეგი, რა თქმა უნდა, ურიგო სულაც არ არის, მაგრამ ამბიციური კლუბის თავკაცებს ჩემპიონობის გარდა სხვა არაფერი დააკმაყოფილებთ.

ამიტომაც ჩააბარეს გუნდი გერმანიაში ნამუშევარ პერუელ ლუის ცაკარიასს, ვის ხელშიც „ლოკომოტივმა" დიდი ცვლილებები განიცადა. არადა, ერთ ხანს, რკინიგზულ კლუბში საქმეები ისე აიწეწა, არავის ეგონა, ცაკარიასის გუნდი ჩემპიონობისთვის თუ იბრძოლებდა.

პირველი ეტაპის პირველი წრის ბოლო ტურში „ბათუმთან" საშინაო წაგების შემდეგ გუნდიდან ცაკარიასის ყველა თანაშემწე დაითხოვეს. კლუბის ხელმძღვანელებმა ერთდროულად რამდენიმე ფეხბურთელიც მოიძულეს და მეორე წრის ალმართს განახლებული „ლოკომოტივი" შეუყვა.

არც ის დავივიწყოთ, რომ შემოდგომის პირზე რკინიგზული კლუბი ევროსარბიელს სამარცხვინოდ დაემშვიდობა. დანიურ „კოპენჰაგენთან" საშინაო მარცხის შემდეგ „ლოკომოტივის" თავკაცებმა ფეხბურთელები მშობლიური გუნდის საზიანოდ ფსონების დადებაში დაადანაშაულეს. მართალია, სკანდალი აგორდა, მაგრამ გაგრძელება არ მოჰყოლია და მტერ-მოყვარემაც ბოლომდე ვერ გაარკვია, რომელი მხარე ტყუოდა.



ჯანაშიას მაგივრობას განელი ნანა გასწევს

ლუის ცაკარიასმა შეძლო არეული გუნდის დალაგება. პერუელმა სიმკაცრეს დიპლომატიაც შეაშველა, ზოგი დატუქსა, ზოგსაც დაუყვავა, მერე ორი პერუელი ფეხბურთელი — გალიარდო და გონსალესიც ჩამოიყვანა. მწვრთნელის ნაცადმა ხერხმა გაჭრა, გუნდს გოგიჩაიშვილის, დავითაშვილის, ქორიძის და მიქაძის წასვლა არ დასტყობია. ელმავალი რელსებზე მყარად იდგა და წინაც მიიწევდა.

მხოლოდ ზაზა ჯანაშიას ვერ მოუხერხა ცაკარიასმა ვერაფერი, გაურჩებულ ფეხბურთელზე არც ტკბილმა სიტყვამ გაჭრა და არც მკაცრმა. არადა, ცაკარიასს ყველაზე მეტად მისი ეიმედებოდა. ჯანაშია კლუბის ხელმძღვანელების ფავორიტიც იყო, თუმც პერუელმაც თავისი დაიჟინა და მათი გზები გაიყარა.

პირველი ეტაპის შემდეგ „ლოკომოტივი" ისევ მეორე საფეხურზე დარჩა. ნაახალწლევს კი ცაკარიასმა შეგირდები სამი კვირით თურქეთში წაიყვანა შეკრებაზე. იმ დროისთვის რკინიგზელთა შტაბში თავდამსხმელის ძებნით იყვნენ გართულნი. უჯანაშიობას შეგუებულებს გონსალესის ჩამოუსვლელობამ გეგმები აურიათ.

ჯერ ბულგარელი ფორვარდი გასინჯა ცაკარიასმა, მერე პორტუგალიელი, თავისიანებს ხომ ყურადღებით აკვირდებოდა, მაგრამ ძებნას განაგრძობდა და თურქეთიდან განელი შავი კაცი, ნანა ეშუანიც ჩამოიყვანა.

პერუელმა ეს არ იკმარა და ფარმკლუბიდან ახალგაზრდა სოსელია დააწინაურა, გორში განათხოვრებული ძოძუაშვილიც „ლოკომოტივში" მოაბრუნა და შეტევაში თითქოს კონკურენციაც გაიზარდა.

ცაკარიასი ისევ არ ისვენებს, კიდევ თავდამსხმელს დაეძებს, თუმც თავადვე აღიარებს, რომ საქართველოში ყველა მისთვის სასურველი შემტევი დაკავებულია, ხოლო კიდევ ერთი უცხოელის მოწვევას, კლუბის სალარო ჯერჯერობით ვერ გასწვდება. ალბათ, ამიტომაც გაბრუნდა უკან ნიგერიელი ნვოსუ, რომელიც თავის მენეჯერს დაუკვალიანებია და პერუელთან მიუგზავნია. ნვოსუმ ერთი ამხანაგური მატჩი ითამაშა ვაკეში და გერმანიაში გაემგზავრა, თუ სურვილი და შესაძლებლობა გექნებათ, მაისის ბოლოს შემეხმიანეთო.

პერუელს შეტევაში არ ულხინს, თორემ ფეხბურთელები თავსაყრელად ჰყავს. ამიტომ რამდენიმე იჯარით სხვა კლუბშიც გაუშვა: გილაური, მორჩილაძე და არუდაშვილი მაისამდე „დილას" შეეშველებიან.

წვრთნისას ცაკარიასი მუდამ განცალკევებით დგას. ხშირად ხელში ლურჯი ხელჯოხი უჭირავს და შეგირდებს შორიახლოდან აკვირდება. დროდადრო რომელიმე მოთამაშესთან მივა, ხელჯოხს შემართავს და ჰაერში რაღაცას ხაზავს.

ხშირად დადის ჩაფიქრებული, ცხადზე უცხადესია, პერუელს საწვრთნელი პირობები მაინცდამაინც არ მოსწონს. „ლოკომოტივის" სტადიონის სათადარიგო მოედნის და დიღმის ბაზის საფარი მწვრთნელისთვის მიუღებელია, თუმც სხვა რა გზაა, გუნდი უკეთესის მოლოდინშია.



ლუის ცაკარიასი



აკაკი ჩხაიძე

ვიდრე ცაკარიასის სამეორეეტაპო განზრახვებზე მოგახსენებდეთ, მანამდე ნანაზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა, ვინც ცაკარიასს მთავარ დამრტყმელ ძალად და ჯანაშიას შემცვლელად ეგულება.

განელს ჩამოყვანამდე და მის შემდეგაც რკინიგზელთაგან ქება-დიდება არ მოჰკლებია, მაგრამ პირველი შთაბეჭდილებები მაინცდამაინც გამაოგნებელი არ ყოფილა. ნანა ჩამოსაწერი მოთამაშე ნამდვილად არ არის, ათლეტური აღნაგობის ფორვარდმა თავი იმითაც დაგვამახსოვრა, რომ თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩში „მერანი-ოლიმპს" ლამაზი გოლი გაუტანა. ეშუანი დაუღალავი მებრძოლია და აქაურ მცველებს მასთან გამკლავება გაუჭირდებათ. ის ჯერაც არ არის ფორმაში და არ ვიცით, რეალურად რა შეუძლია. ალბათ, უპრიანი იქნება, იგივე ვთქვათ თავად ცაკარიასზეც, რომლის შესაძლებლობებში ბოლომდე დარწმუნებულები ვერ ვიქნებით. პერუელმა აშკარად დაატყო ხელი „ლოკომოტივს", მაგრამ ნაადრევ დასკვნებს მოვერიდოთ, ვნახოთ, რა მოხდება ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე.

ახლა კი *ლუის ცაკარიასს* მოვუსმინოთ, რომელიც გუშინ ფოთისკენ გაემგზავრა და დღეს „ფაზისზე" მოუწევს თამაში, იმ სტადიონზე, რომელიც „ლოკომოტივისთვის" ფეხბედნიერი სულაც არ გახლავთ.

**— თურქეთიდან დაბრუნებული „ლოკომოტივი" ამხანაგურ და სათასო მატჩებში მაინცდამაინც შთამბეჭდავად არ გამოიყურებოდა...**

— ეს ბუნებრივიცაა, შეკრების შემდეგ ფეხბურთელებს ძალების აღსადგენად დრო სჭირდებათ. მიმაჩნია, რომ ყველაფერი დასახული გეგმის მიხედვით მიდის და ნამდვილ „ლოკომოტივსაც" სულ მალე იხილავთ.

**— სადღეისოდ რა პრობლემები დაგიგროვდათ?**

— თუ ჩავუკირკიტდებით, პრობლემას ყველგან იპოვით. ჩემი გუნდის პრობლემები კი ტრავმებია. კაპიტან ბალაშვილს კუნთი აწუხებს, გალიარდოს სათასო მატჩში ფერდში ჩაარტყეს და დაჟეჟილობა დაუდგინდა, კაიძარაშვილს ვირუსი შეეყარა, ხოლო კაკაშვილის სატრანსფერო ფურცელი მოსკოვიდან ჯერაც არ ჩამოსულა და პირველ ტურშიც ვერ ვათამაშებ.

**— ბალაშვილის არყოფნაში თქვენი საყვარელი 4-4-2 ტაქტიკური მონახაზის შეცვლას ხომ არ აპირებთ?**

— არა, ბალაშვილის ადგილს გიორგი ონიანი დაიჭერს, სხვა ყველაფერი უცვლელი იქნება. კონკრეტულ მოთამაშეთა გამოკლება გუნდის სათამაშო სტილზე არ იმოქმედებს.

**— „ლოკომოტივისთვის" ფოთის „კოლხეთი" ძალიან უხერხული მეტოქეა.**

— როგორც მითხრეს, რკინიგზელებს სამი სეზონის განმავლობაში „ფაზისზე" ერთხელ უმარჯვიათ. ახლაც უნდა მოვიგოთ, გაგვიჭირდება, მაგრამ თუ ჩემპიონობა გვინდა, სხვა გზა არ არსებობს.

**— საჩემპიონოდ სხვებიც ემზადებიან.**

— „დინამოსთან", „ტორპედოსთან" და „ვიტ ჯორჯიასთან" მოგვიწევს ჭიდილი, ძალიან ძლიერი კონკურენტები გვყავს, მაგრამ ჩვენ ჩვენსას ვეცდებით და დანარჩენს ჩემპიონატი გამოაჩენს.

ცაკარიასის სამეორეეტაპო განაცხადი კი ოცკაციანია:

***მეკარეები:*** *გიორგი ლომაია, მანუჩარ ივარდავა;*

***მცველები:*** *გიორგი ბალაშვილი, ლაშა სალუქვაძე, სერგო ორბელაძე, როინ ონიანი, გიორგი ონიანი, ვლადიმერ კაკაშვილი;*

***ნახევარმცველები:*** *დავით სირაძე, მურთაზ ბურნაძე, გივი კვარაცხელია, დავით ჭიჭველიშვილი, მიხეილ სოსელია, მამუკა რუსია, რაფაელ გალიარდო, ზაზა ლაცაბიძე, რომან გოგინაშვილი;*

***თავდამსხმელები:*** *ნანა, ალეკო კაიდარაშვილი, მერაბ ძოძუაშვილი.*

**მამუკა ქვანტალიანი**

## მერანი-ოლიმპი (თბილისი)

*დიდხანს იწვალა უმაღლეს ლიგაში „მერანი 91"-მა. გაწვალდნენ მწვრთნელ-ფეხბურთელებიც და საშველიც რომ არსაიდან გამოჩნდა, ავჭალური კლუბიც საფეხბურთო აკადემია „ოლიმპს" შეუერთდა*

# მითხარი ვინ არის შენი პატრონი...

**ბევრმა იცის**, საბოლოოდ რაც გამოდის მსგავსი გაერთიანებებისგან. ცხადზე უცხადესია, მომავალი სეზონიდან „მერანი" საერთოდ გაქრება ქართული საფეხბურთო რუკიდან და იქნება მხოლოდ „ოლიმპი".

საფეხბურთო აკადემიის შეძლებულ მეპატრონეებს არც არასდროს დაუმალავთ, რომ ისინი უმაღლეს ლიგაში ადგილს ყიდულობდნენ. არც მათთვის არასასურველი ფეხბურთელებისთვის დაუწყვეტიათ გული. კუთვნილი სრულად აუნაზღაურეს და მერე ოთხივ მხარეს გზა დაულოცეს.

ძველი „მერანიდან" ახალშენებარე კლუბში ადგილი მეკარეებმა რევაზ ნაჭყეპიამ და გიორგი გაბელიამ, ლიბერო გოჩა გუჯაბიძემ და საყრდენმა მიხეილ მესხმა მიიღეს. ავჭალური კლუბის აწ უკვე ყოფილ დამრიგებელ ოთარ გაბელიას გუნდის ტექნიკური დირექტორის პოსტი შესთავაზეს და „მერანი-ოლიმპმაც" ახალმოსახლეობა ჯიქიას ქუჩაზე იზეიმა.

ახალ ხელმძღვანელებს კლუბში „მერანის" ყოჩის იოსებ დევიძის და საზრიანი შუახაზელის ალექსანდრე კოშკაძის დატოვებაც სურდათ, თუმც თავად ფეხბურთელებმა სხვაგვარად განსაჯეს და ბოლნისის „სიონს" მიაკითხეს.

ჯიქიას ქუჩაზე გადაბარგებულ ყოფილ ავჭალელებს ჭაბუკთა ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელიც მიემატა, თუმც ლიგაში დასარჩენად შემართული გუნდისთვის კიდევ უფრო გაძლიერება იყო აუცილებელი.

გუნდის მწვრთნელმა კობა ჟორჟიკაშვილმა და კომპანიამ თავის დროზე „ლოკომოტივიდან" გაშვებული კახა გოგიჩაიშვილი, სულიკო დავითაშვილი და გელა ქორიძე შეიმატეს. ამათ კიდევ ერთი ყოფილი რკინიგზელი, გორის „დილადან" წამოსული უკანახაზელი გიორგი დავითნიძე დაემატა და, ფაქტობრივად, სელექციაც დასრულდა.

რა თქმა უნდა, „მერანი-ოლიმპის" ვერც ერთი ფეხბურთელი უპირობობაზე ვერ დაიწუწუნებს. ანაზღაურება დროული, კვება მოსაწონი, ვარჯიშები სტანდარტულ ხელოვნურსაფარიან მოედანზე, სათამაშო ეკიპირება, სავარჯიშო ინვენტარი — ყველაფერი ხარისხიანი.

ასე მივიდა „მერანი-ოლიმპი" სათასო მერვედფინალამდე. ჯიქიელებს გულში უფრო წინ წასვლაც ამოეჭრათ, მაგრამ გუნდი ორიოდ თვეში კი არა, ორ წელიწადშიც ძნელი შესაკვრელია. „მერანი-ოლიმპის" მონდომება „ლოკომოტივის" სიძლიერეს ვერ გასწვდა და დარჩა მხოლოდ ერთი მიზანი — ლიგაში ადგილის შენარჩუნება. ჯიქიელთა თავკაცს, *კობა ჟორჟიკაშვილს* სჯერა, რომ დასახულ მიზანს გუნდი წარმატებით გადაჭრის.

— მთელი მოსამზადებელი ეტაპი, ფაქტობრივად, სასელექციო სამუშაომ წაიღო. ჭაბუკთა ნაკრების ახალგაზრდა, გამოუცდელ მოთამაშეებს ლიგაში დასარჩენად ბრძოლა მძიმე ტვირთად დააწვებოდათ, ამიტომაც მოვიწვიეთ გამოცდილი ფეხბურთელები. სელექცია ახლაც მიმდინარეობს და მჯერა, სამომავლოდ სხვა მიზნებისთვის ვიბრძოლებთ, წლეულს კი ლიგაში ადგილის შენარჩუნება არ უნდა გაგვიჭირდეს.

**მამუკა ქვანტალიანი**



კობა ჟორჟიკაშვილი

## ვიტ ჯორჯია (თბილისი)

# ათი ფინალი და ათპროცენტიანი სკუდეტო

## ჯანი კარნევალი: არ უღალატო საკუთარ თავს, დაუმიზნე უეფას თასს

**„ვიტ ჯორჯიას"** სიძლიერეს ეროვნულ ჩემპიონატში ყველა აღიარებს. ჯანი კარნევალიმ მართლაც ბრძოლისუნარიანი გუნდი შეკრა, თუმც პირველი ტიტული იტალიელის მოსვლამდე მოიპოვეს ვეტერინარებმა. ვიტელები ხომ ოდინდელი ვიცე-ჩემპიონები არიან.

დაარსებიდან ხუთი წლის თავზე კლუბმა სახელი დაიგდო და ევროსარბიელზეც სეზონი არ გაუცდენია. მიუხედავად არაერთი სიკეთისა, „ვიტ ჯორჯიას" უცნაურობაც გამოარჩევს. კარნევალის გუნდს კონკრეტულ მატჩებში „დინამოს" და „ტორპედოს" დამარცხება ხელეწიფება, მაგრამ შედარებით სუსტებთან მოულოდნელად ფლანგავს ქულებს.

იმასაც შევსწრებივართ, პირწმინდად მოგებული პირველი ტაიმის შემდეგ საბოლოოდ თამაში რომ წაუგიათ ვეტერინარებს. გარკვეულ ჩავარდნებს კლუბის წარმომადგენლები გუნდის ახალგაზრდულ ასაკს მიაწერენ.

პირველი ეტაპის შემდეგ დიდი შანსი იყო, კარნევალის ხელთ განახევრებული შემადგენლობა შერჩენოდა და გუნდიც თავიდან დაეკომპლექტებინა. კლუბის წამყვანი ფეხბურთელები, კაპიტანი ლაშა ნოზაძე, გამთამაშებელი გიორგი ყიფიანი, ეფექტური ნახევარმცველი დავით ქოქიაშვილი და ფორვარდები — ლევან მელქაძე და გიორგი ადამია უცხოურ კლუბებში ისინჯებოდნენ.

„ვიტ ჯორჯიასთვის" ხუთივე დიდ ძალას წარმოადგენს, ისინი თავიანთ ამპლუებში ერთ-ერთი საუკეთესოები არიან და მათ გარეშე ვიტელებს მაღალი ადგილებისთვის ბრძოლა გაუძნელდებოდათ, მაგრამ მწვრთნელთა გასახარად, ხუთიდან ოთხი მშობლიურ კლუბს დაუბრუნდა. საპირველეტაპო შემადგენლობას ერთადერთი დავით ქოქიაშვილი გამოაკლდა, რომელიც „ვიტ ჯორჯიას" არც უცხოურ შეკრებაზე გაჰყოლია და ვერც საშეორეეტაპო განაცხადში აღმოაჩენთ. ბოლო ინფორმაციით, ქოქიაშვილი მოსკოვის „სპარტაკს" დაუბრუნდა. სწორედ იქიდან გადმოიბირეს ვეტერინარებმა იჯარის წესით. ხელშეკრულებაში საბოლოოდ გამოსყიდვაზეც იყო საუბარი, მაგრამ ფეხბურთელმა თავისი ბედი თავადვე აირჩია.

ბოლო დროს „ვიტ ჯორჯია" უპირატესობას თავის საფეხბურთო სკოლაში, ფარმ-კლუბსა თუ პარტნიორ თსუ-ში დაფრთიანებულ მოთამაშეებს ანიჭებს. რა თქმა უნდა, შეიძლება გამონაკლისიც დაუშვან და ფეხბურთელი სხვა კლუბიდან მიიწვიონ, მაგრამ ძირითადი შევსება მაინც იქიდან მოდის. პირველი ეტაპის შემდეგ ვეტერინარები გაზღნენ დათუნაიშვილი თსუდან, ლომაია, მალიჩავა, მარცვალაძე და იმედაშვილი ფარმ-კლუბიდან. „ვიტ ჯორჯიამ" გორის „დილადან" ჯობაძე, ხოლო რუსთავის „გორდადან" ზაზაშვილი დაიბრუნა და ახლა კარნევალის განკარგულებაში 27 ფეხბურთელია.

— კონკურენცია აუცილებელია, მომწონს როცა გუნდში ერთ პოზიციაზე ორი ძლიერი ფეხბურთელი მეგულება, მაგრამ ერთი ამპლუის სამი და ოთხი მოთამაშე არასასურველია. ეს მცირეოდენ პრობლემას ქმნის, არ მსურს, ვინმე უთამაშებელი დარჩეს. ახალგაზრდა ფეხბურთელი ბრძოლაში იწრთობა და არა სათადარიგოთა სკამზე. ჩვენთან დიდი კონკურენციაა, თუმც ბიჭებმა ჩემეული პრინციპებიც კარგად იციან. მოედანზე გავა ის, ვინც კონკრეტული მატჩისთვის ასი პროცენტით იქნება მომზადებული. ასე რომ, შანსი ყველას აქვს. ვეტერინართა თავკაცი *ჯანი კარნევალი* კი თავის შეხედულებებს არასდროს ღალატობს და არა აქვს მნიშვნელობა, ზედმიწევნით სწორია თუ არა იტალიელის არჩევანი.

**— მოსამზადებელ ეტაპზე ყველა თქვენეული ჩანაფიქრი განახორციელეთ?**

— ჩვენ ჩინებული პირობები გვქონდა. თუ უმნიშვნელო ტრავმებს ყურადღებას არ მივაქცევთ, პრობლემები არ შეგვქმნია. ვფიქრობ, „ვიტ ჯორჯია" საკმაოდ კარგად არის მომზადებული როგორც ფიზიკურად, ისე ტექნიკურ-ტაქტიკურადაც. დანარჩენს კი მეორე ეტაპი გასცემს პასუხს.

**— დღევანდელი კონტიგენტით და მომზადებით „ვიტ ჯორჯიას" რეალურად რისი მიღწევა ძალუძს?**

— ჩვენი მიზანი უეფას თასის საგზურის მოპოვებაა და ვფიქრობ, ეს არ გაგვიჭირდება. თუმც ისე ნუ გაიგებთ, თითქოს ჩემპიონობაზე ვამბობთ უარს. „ვიტ ჯორჯია" იბრძოლებს და ვნახოთ, რა გამოგვივა.

**— გუნდი თასის გათამაშებაშიც იბრძვის, თუმც მეოთხედფინალში მეტოქე „დინამოა".**

— პრობლემას აქაც ვერ ვხედავ. მე პატივს ვცემ „დინამოს", მაგრამ სულაც არ ვუფრთხი. ჩვენ უეფას საგზური ვახსენეთ, მისკენ გზას კი თასის მოპოვებაც გაგვიხსნის.

**— ჩემპიონობის რეალურ პრეტენდენტად ვინ მიგაჩნიათ?**

— პირველობის ყველაზე დიდი, 70-პროცენტიანი შანსი „დინამოს" აქვს. დანარჩენ სამ გუნდს — „ტორპედოს", „ლოკომოტივსა" და ჩვენ თანაბრად ათ-ათი პროცენტი გვერგება. თუმც ეს მხოლოდ კარნევალის პირადი აზრია.

**— ჩემპიონატის განახლების წინ თქვენი შეგირდები ხომ არ ნერვიულობენ?**

— მე შევძელი მათი მენტალიტეტი შემეცვალა. ფეხბურთში წაგებისგან არავინაა დაზღვეული, ზედმეტად ნერვიულობა კი სიკეთეს არ მოიტანს. მათ იციან, რომ წინ 10 ფინალური მატჩი ელით, მთელი მოსამზადებელი ეტაპი ამას ჩავჩიჩინებდი და ვფიქრობ, მძიმე ბრძოლებისთვისაც შევამზადე.

**— „ვიტ ჯორჯიას" საშეორეეტაპო ბედ-იღბალი რამდენად იქნება დამოკიდებული დღევანდელ ბოლნისურ დაპირისპირებაზე?**

— ზემოთ ათი ფინალი ვახსენე, ბოლნისში კი ეს სერია იწყება. განსაკუთრებულს და გამორჩეულს აქ ვერაფერს ვხედავ, უბრალოდ, ყველა თამაშს ისე მივუდგებით, როგორც გადამწყვეტს.

„ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტი *გურამ რუხაძე* დღესაც მიიჩნევს, რომ მისი კლუბის შენება ჯერაც გრძელდება.

— „ვიტ ჯორჯიას" საშუალო ასაკი 21 წელიწადია, 27-დან 20 ფეხბურთელი ოცდასამისაც არ არის, ხოლო ექვსს ოციც არ შესრულებია. მიუხედავად ამისა, ჩვენ სოლიდურ, ყველასთვის ანგარიშგასაწევ გუნდად ჩამოვყალიბდით. აქამდე დასახული მიზნებისთვის არ გადაგვიხვევია და ასეც გავაგრძელებთ.

„ვიტ ჯორჯიას" სელექცია მხოლოდ საკუთარ კადრებზეა დაფუძნებული. ყოველ წელიწადს სოლიდური შევსება მოდის, ამიტომ ჩვენი სამომავლო მიზნებიც უფრო სერიოზულია. წლეულს კი, სულ მცირე უეფას თასის საგზურის მოპოვებას ვეცდებით.

ვეტერინართა გენერალური მდივანი *მალხაზ კაკაურიძე*, ვისაც კიდევ რამდენიმე თანამდებობაც შეუთავსებია, სადღეისოდ კლუბში პრობლემებს ვერ ხედავს.

— „ვიტ ჯორჯიას" არანაირი ყოფითი და სხვა პრობლემები არ აწუხებს. კლუბი ფეხბურთელს ყველა პირობას უქმნის. მოთამაშეებიც თავდაუზოგავად ემზადებოდნენ და საერთო განწყობაც ამაღლებულია. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ გუნდს დასახული მიზნის მიღწევა არ უნდა გაუჭირდეს.

ზემოთ ვიტელთა 27-კაციან განაცხადს გთავაზობთ. კარნევალიმ გუშინ შეგირდები გადანომრა და ჩემპიონატსაც ესენი ჩაამთავრებენ.

**მამუკა ძგანტალიანი**



ჯანი კარნევალი

| | | |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1 | მირზა მერლანი | 05.10.1980 |
| 12 | სერგო ჭურაძე | 10.07.1977 |
| 25 | დავით მამარდაშვილი | 17.10.1977 |
| **მცველები** | | |
| 2 | დავით იმედაშვილი | 15.12.1984 |
| 3 | ლევან მერებაშვილი | 22.02.1979 |
| 4 | თენგიზ კობიაშვილი | 03.12.1975 |
| 5 | ჯაბა მუჯირი | 07.06.1980 |
| 16 | დავით ზაზაშვილი | 30.01.1982 |
| 17 | გიორგი კვახაძე | 16.08.1981 |
| 21 | ოლეგ გველესიანი | 16.09.1980 |
| 24 | ალექსანდრე ინწკირველი | 24.08.1981 |
| 26 | დავით ლომაია | 18.05.1985 |
| **ნახევარმცველები** | | |
| 6 | გიორგი ფეიქრიშვილი | 28.02.1983 |
| 9 | ლაშა ნოზაძე | 18.03.1980 |
| 13 | პაატა დათუნაიშვილი | 25.08.1983 |
| 14 | დავით დოლიძე | 09.02.1980 |
| 15 | დავით ბოლქვაძე | 05.06.1980 |
| 18 | დავით დილმელაშვილი | 18.01.1980 |
| 20 | გიორგი ყიფიანი | 03.08.1978 |
| 23 | დავით ჯობაძე | 07.09.1981 |
| 27 | ირაკლი მალიჩავა | 03.07.1984 |
| **თავდამსხმელები** | | |
| 7 | გიორგი ადამია | 10.03.1981 |
| 8 | კახა ბერელიძე | 12.02.1982 |
| 10 | ვლადიმერ გოჩაშვილი | 05.07.1976 |
| 11 | ლევან მელქაძე | 12.12.1979 |
| 19 | ერეკლე მერებაშვილი | 27.05.1982 |
| 22 | ოთარი მარცვალაძე | 14.07.1984 |



გურამ რუხაძე და მალხაზ კაკაურიძე

## მილანი (წნორი)

# ქიზიყში ქალს გული ატკინეს

**გულმოკლული** და იმედგაცრუებულია საგაზაფხულო ეტაპის პირველი ტურის წინ „მილანის" პრეზიდენტი მარიამ ფირცხალაიშვილი. ქიზიყელები ცაიტნოტში ჩააგდო ქვემოქართლელთა გადაწყვეტილებამ. „სიონმა" მილანში განათხოვრებული ოთხი ფეხბურთელი უკან გაიწვია ზედ ჩემპიონატის განახლების წინ.

შეგახსენებთ, ბოლნისელებმა პირველი ეტაპის შემდეგ ლამის ნახევარი გუნდი დაითხოვეს სერიოზული ბრალდებით — მეტოქესთან გარიგებაში შემჩნეულთ ბოლნისში არ გავაჭაჭანებთო. კახა სიდამონიძეს, ზაზა ცქიფურიშვილს, გია ჩხაიძესა და დავით გოდერძიშვილს სეზონის ბოლომდე უნდა ეთამაშათ „სიონში", მაგრამ კლუბის მესვეურთა გადაწყვეტილებით, უგუნდოდ დარჩნენ. ამ ოთხეულს „მილანმა" დაადგა თვალი და მარიამ ფირცხალაიშვილმა ბოლნისელებთან მოლაპარაკების შემდეგ ქვემო ქართლიდან ლტოლვილნი წნორში ჩაიყვანა.

უმაღლესი ლიგის ერთადერთმა მანდილოსანმა პრეზიდენტმა ახალწვეულები სათასო მატჩებშიც ათამაშა და თითქოს პრობლემა არც უნდა ყოფილიყო მათი ჩემპიონატის განაცხადში შეყვანა, მაგრამ ბოლნისელებმა სხვაგვარად განსაჯეს, დამნაშავე საკადრისად უნდა დაისაჯოსო და ზემოთ ნახსენები ფეხბურთელები, ფაქტობრივად, უსაქმოდ დატოვეს — ისინი კონტრაქტის გასვლამდე ვერსად ვერ ითამაშებენ. ამ გადაწყვეტილებით უპირველესად „მილანმა" იზარალა, რადგან ხელმოკლე და დიდ საქმეს შეჭიდებული ქიზიყელები იმედოვნებდნენ, რომ ახალწვეულთა წყალობით უმაღლეს ლიგაში დარჩებოდნენ. ახლა კი მარიამ ფირცხალაიშვილი გამოუვალ მდგომარეობაშია და აღშფოთებულია ქვემოქართლელთა გადაწყვეტილებით.

— ფეხბურთმა უპირველესად კლუბების, ჩემი კოლეგების პატივისცემა მასწავლა და გულმოკლული ვარ იგივეს მათი მხრიდან რომ ვერ ვგრძნობ. ბოლნისელებს ფული უნდათ, ჩვენ კი რა ვქნათ, უსახსროდ ვართ. ამხელა სტადიონს ვაშენებთ წვალებ-წვალებით, გაჭირვებით ვანაწილებთ თანხას გუნდზე, მშენებლობაზე და ასეთ ვითარებაში ზურგში დანის ჩაცემის ტოლფასი იყო ბოლნისელთა საქციელი. ვისაც ვაჟკაცობა და ფეხბურთის სიყვარული აქვს, ასე არ მოიქცეოდა — გვითხრა გუშინ მარიამ ფირცხალაიშვილმა.

მოკლედ, „მილანი" „გორდასთან" დღევანდელი საპირველტურო მატჩის წინ შოკირებულია.

ახლა იმათზე ვთქვათ, ვის იმედზეც შეეცდება „ქიზიყის სიამაყე" მიზნის მიღწევას. ხაჩიძე, მელაძე, რობაქიძე, გიორბელიძე — აქამდეც ცნობილი ახალწვეულთა ეს გვარები ქართული ფეხბურთის ქომაგს ალბათ ბევრს არც არაფერს ეუბნება. „მილანის" ერთადერთი „წონიანი" შენაძენი ექსმერანელი ლევან ბაჯელიძეა. ცაიტნოტში მოხვედრილმა ქიზიყელებმა კი ბოლო მომენტში კიდევ ორი ფეხბურთელი შეიყვანეს განაცხადში. ესენი „დინამო 2"-ის მცველები — მურჯიკნელი და ბოჭორიშვილი არიან. კახურ გუნდში ითამაშებს აგრეთვე ექსცხუმელი ქუთაისელი შემტევი კახა ბობოხიძე.

გუნდის უმთავრეს კოზირად კი ნიჭიერი ზაზა მედოევი რჩება. ბევრი რამ არის დამოკიდებული გონიერ და ტექნიკურ ნახევარმცველ მირზა სამხარაძეზე. ამ ბიჭს ტრავმირებული მედოევის არყოფნაში არაერთხელ ლამის მარტოს შემოუტრიალებია თამაში. მედოევის შესაძლებლობები კი ბევრისთვის ცნობილია. ექვსი თვის უთამაშებელმა „პანკისის ლომმა" პირველივე მატჩში გამოიჩინა თავი და მართლაც ლომის წილი დაიდო სათასო მერვედფინალში „გურიას" დამარცხებაში.

წნორელთა სული და გულია გამოცდილი სოსო ბარამიძე, ამ მრავლისმნახველი ვეტერანის მონდომება და მარიფათი ბევრ ახალგაზრდას შეშურდება. „მილანი" საგაზაფხულო ეტაპზე ნიჭიერ შემტევ ოთარ ვარამაშვილს მოისაკლისებს. ამ სწრაფმა ფორვარდმა ვერა და ვერ მოიშუშა მტკივანი საზარდული და ეგებ საოპერაციოც გახდეს.

გუნდის მწვრთნელზეც ვთქვათ. წნორელებმა, სხვათაგან მწვრთნელთაცვლით რომ გამოირჩევიან, საგაზაფხულო ეტაპის სადავეები ზესტაფონელ ზურაბ ბოჭორიშვილს ჩააბარეს, ეს კაცი „მეტალურგში" ზაურ ჩუბინიძის თანაშემწედ მუშაობდა, ახალ გუნდში კი წარმატებული დებიუტი ჰქონდა — „მილანი" სათასო მეოთხედფინალში გაიყვანა.

**პაატა ძგანტალიანი**



მეორე ეტაპზე „მილანს" სოსო ბარამიძის შემართება დასჭირდება



ალექსანდრე ჩივაძის სიაში „უკრაინელები" — გიორგი დემეტრაძე (მარცხნივ) და გოჩა ჯამარაულიც მოხვდნენ

# 12 ჩივაძის ლეგიონი

**საქართველოს ნაკრები** 29 მარტისა და 2 აპრილის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის — ირლანდიასთან და შვეიცარიასთან — 12 ლეგიონერით მოემზადება.

ეროვნული გუნდის მწვრთნელ ალექსანდრე ჩივაძეს უცხოეთში მოთამაშე მისთვის სასურველ ფეხბურთელთა სია უკვე ჩამოწერილი აქვს, თუმცა, როგორც ფეხბურთის ფედერაციაში გუშინ გვითხრეს, არცერთ ლეგიონერთან გამოძახება ჯერ არ გაგზავნილა. უეფას წესისამებრ, კლუბებს 2 კვირით ადრე ეცნობებათ ნაკრებში წვეულთა ვინაობა. ეს წესი მხოლოდ საქართველოში არ მოქმედებს, ჩივაძე, როგორც აქამდე, ქვეყნის ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს ნაკრებში მაშინ დაუძახებს, როცა შეკრებას დაიწყებს, 25-26 მარტს. სულ კი, ეროვნული გუნდის მწვრთნელი ირლანდიასთან და შვეიცარიასთან მატჩებისთვის 20 ფეხბურთელის გამოძახებას გეგმავს, შეკრებას კი „დინამოს" დიღმის საწვრთნელ ბაზაზე.

ერთი სიტყვით, ჩივაძის სიაში ეს ლეგიონერებია.

*გიორგი ნემსაძე, ზურაბ ხიზანიშვილი (ორივე „დანდი", შოტლანდია), შოთა არველაძე („რეინჯერსი", შოტლანდია), გიორგი ქინქლაძე („დერბი", ინგლისი), ალექსანდრე იაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, ლევან კობიაშვილი (სამივე „ფრაიბურგი", გერმანია), გოჩა ჯამარაული, გიორგი დემეტრაძე (ორივე „მეტალურგი", დონეცკი, უკრაინა), ალექსანდრე რეხვიაშვილი („ტორპედო-მეტალურგი", რუსეთი), კახა კალაძე („მილანი", იტალია), მიხეილ აშვეთია („სპარტაკ-ალანია", რუსეთი)*

ორშაბათს ამ ფეხბურთელთა კლუბებს ფედერაციიდან აცნობებენ, რომ ისინი ეროვნულ გუნდში არიან გამოძახებულნი.

ისიც სათქმელია, რომ ზურაბ ხიზანიშვილი ირლანდიასთან დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს, კახა კალაძეს კი კუნთი აქვს დაჭიმული და ექიმებსაც უჭირთ თქმა, 29 მარტამდე გამოჯანმრთელდება თუ არა.

**კობა ინასარიძე**

სამკურნალო გაერთიანება
„ლიგა"
დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე
სექსოპათოლოგიის კლინიკა
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.
ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21
ვაქცინაციის ცენტრი
- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის" ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78
სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა"
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

# რეხვიაშვილი წარადგინეს, არჩვაძე გააგზავნეს



ალექსანდრე რეხვიაშვილი

**გუშინ** „ტორპედო-მეტალურგის" თავკაცი სერგეი ალეინიკოვი კლუბის ახალწვეულებთან ერთად ჟურნალისტების წინაშე წარსდგა. მოსკოვური კლუბის მთავარმა მწვრთნელმა თერთმეტი ახალწვეული გააცნო რუსულ მედიას. მათ შორის ქართველი ალექსანდრე რეხვიაშვილიც.

ასე რომ, საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველ ალექსანდრ რეხვიაშვილის გაუგებარ სატრანსფერო ორომტრიალს ბოლო მოეღო. რეხვიაშვილი რამდენიმე დღის წინ მოსკოვურ „ტორპედო-მეტალურგს" დაუბრუნდა და პრობლემებიც უკან დარჩა.

ალბათ გახსოვთ, თურქეთში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფი ჩვენებური კლუბის ხელმძღვანელობას ვერ მოურიგდა და იქვე დაბანაკებულ ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიას" მიაშურა. ამას მოგვიანებით მწვავე რეაქციაც მოჰყვა, თუმც საბოლოოდ „ტორპედო-მეტალურგი" და რეხვიაშვილი შერიგდნენ და ქართველი ნახევარმცველიც მოსკოველებს შეუერთდა. ალეინიკოვის შეგირდებმა შეკრების დასასრულს ჩიტის „ლოკომოტივთან" ამხანაგური მატჩიც ითამაშეს. „ტორპედო-მეტალურგმა" ეს შეხვედრა 2:0 მოიგო, ჩვენებურმა კი 90 წუთი დაჰყო მოედანზე.

სხვათა შორის, აქვე გეტყვით, რომ ახლახან ჩიტის „ლოკომოტივში" ქართველი მცველი ზურაბ არჩვაძე გადაბარგდა. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველ ეტაპზე „ბათუმის" ფეხბურთელმა არჩვაძემ რუსულ კლუბთან ურთიერთობა უკვე გაარკვია და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ სატრანსფერო ფურცელიც გაგზავნა რუსეთში.

**კახა ზალამბერიძე**

# ახალი ამბავი ახალკაცისთვის

## სპარტაკი ტორპედოელს დინამოსთან შეამოწმებს

**დღეს**, ქუთაისში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმთავრესი მატჩია: „ტორპედო" — „დინამო".

ამ შეხვედრას მთელი საფეხბურთო საქართველო დიდი ინტერესით ელის, თუმც ქუთაისს დღეს „ტორპედოსა" და „დინამოს" ქომაგების გარდა სხვა სტუმრებიც ეყოლება. როგორც გავიგეთ, დღევანდელ მატჩს მოსკოვის „სპარტაკის" წარმომადგენლებიც დაესწრებიან. მათი მთავარი სამიზნე კი ტორპედოელი რომან ახალკაცია.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების 22 წლის ნახევარმცველმა და რიონისპირელთა ერთ-ერთმა ლიდერმა „სპარტაკში" ნაახალწლევს რამდენიმე დღე ივარჯიშა და ამხანაგურ მატჩებშიც ითამაშა. მაშინ ახალკაცს რუსთა „სახალხო გუნდში" ჩარიცხვასაც უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მოსკოველები ჩვენებურს მომავალში შეხმიანებას დაჰპირდნენ და საქართველოში გამოისტუმრეს. როგორც ჩანს, ამ ამბავს გაგრძელება ახლა მოჰყვება.

ასე რომ, რომან ახალკაცი დღეს ორმაგი მონდომებით ითამაშებს და ეცდება, „სპარტაკის" მზირებთან თავი არ შეირცხვინოს:

— რუსთა ქუთაისში ჩამოსვლის ამბავი მეც გავიგე. მითხრეს, „ტორპედო" — „დინამოს" მატჩში დაგაკვირდებიანო. ეს ჩემთვის, ცხადია, დამატებითი სტიმულია. ვეცდები, რუსებს თავი მოვაწონო და თან „ტორპედოსაც" დავეხმარო გამარჯვებაში. „სპარტაკში" გადასვლის შანსი ფეხბურთელს მუდამ არ ექნება და, იმედი მაქვს, ამ შანსს ხელიდან არ გავუშვებ — გვითხრა გუშინ რომან ახალკაცმა.

**კახა ზალამბერიძე**



რომან ახალკაცი თავის გამოჩენას დღეს განსაკუთრებით ეცდება

# კიკნაძე ქართულადაც გაჭრეს



## ასპროცენტიანი ამბავი 95 და 5 პროცენტზე

**გიორგი კიკნაძემ** ორწელიწადნახევარი დაჰყო „ფრაიბურგში" და ტრავმის გამო ერთხელაც ვერ ითამაშა გერმანული გუნდის მაისურით ოფიციალურ მატჩში, ამის შესახებ „სარბიელში" არაერთხელ წაიკითხავდით.

გუშინ კი 26 წლის კიკნაძემ თბილისში, თოდუას ცნობილ კლინიკაში გაიკეთა ხერხემლის ოპერაცია და ქართველმა ექიმებმა წარმატებული ოპერაციის შემდეგ ფეხბურთელს უთხრეს — სამ თვეში ვარჯიშის დაწყება შეგეძლება, მერე ფეხბურთის თამაშიც და ამის თითქმის ასპროცენტიან გარანტიას ვიძლევით — 95 პროცენტით ფეხბურთელის კარიერას გააგრძელებო.

შეგახსენებთ, რომ კიკნაძემ ფრაიბურგში ყოფნისასაც გაიკეთა მსგავსი ოპერაცია, შემდეგ მომჯობინდა, სრული დატვირთვით დაიწყო ვარჯიში, მაგრამ ტკივილმა კვლავ შეაწუხა. გერმანელმა ექიმებმა უთხრეს, მეორე ოპერაცია საჭირო ალარაა და ნაირგვარი თერაპია დაუნიშნეს. გიორგის არც ამან უშველა და შვეიცარიელ ექიმსაც მიაკითხა, თუმც ვერც მან განკურნა სრულად.

ახლა კი ქართველების ჯერია — შეუპოვარი კიკნაძე კიდევ ერთ ცდაზე მიდის.

**დავით თაგართქილაძე**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### გერმანია. ბუნდესლიგა. XXV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 18.30 | 001 | ლევერკუზენი-ვოლფსბურგი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 18.30 | 002 | ბოხუმი-ბაიერნი | 4,4 | 3,3 | 1,75 | 1,88 | 1,25 | 1,14 |
| 18.30 | 003 | ჰანზა-ვერდერი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 18.30 | 004 | დორტმუნდი-ჰანოვერი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 005 | დორტმუნდი-ჰანოვერი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 18.30 | 006 | არმინია-მიონხენგლადბახი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.30 | 007 | ჰამბურგი-შალკე | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 18.30 | 008 | კოტბუსი-კაიზერსლაუტერნი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 20.30 | 009 | ნიურნბერგი-ჰერტა | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 20.30 | 010 | მიუნხენი-შტუტგარტი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XXV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 22.00 | 011 | მაინცი-ფიურტი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 22.00 | 012 | ტრირი-როიტლინგენი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 22.00 | 013 | ალენი-დუისბურგი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 014 | ბრაუნშვაიგი-ბურგჰაუზენი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 18.00 | 015 | ობერჰაუზენი-ზტ.პაული | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 18.00 | 016 | აინტრახტი-ალემანია | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 18.00 | 017 | ლიუბეკი-კარლსრუე | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 18.00 | 018 | უნიონი-კიოლნი | 3,2 | 3,0 | 2,25 | 1,54 | 1,32 | 1,28 |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 23.15 | 019 | ვალდჰოფი-ფრაიბურგი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 22.30 | 022 | კიოლნი(მ)-ესენი | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 17.00 | 023 | ქემნიცი-კილი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 17.00 | 024 | დინამო-დრეზდენი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 17.00 | 025 | ურდინგენი-ოსნაბრიუკი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 17.00 | 026 | პადერბორნი-ლევერკუზენი(მ) | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 17.00 | 027 | მიუნსტერი-ჰამბურგი(მ) | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 17.00 | 028 | ბაბელსბერგი-დორტმუნდი(მ) | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 17.00 | 029 | ვერდერი(მ)-აუე | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 17.00 | 030 | ვატენშაიდი-ფერლი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 2113 | ლევერკუზ.-ვოლფსბ. | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.30 | 2114 | ბოხუმი-ბაიერნი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 18.30 | 2115 | ჰანზა-ვერდერი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 18.30 | 2116 | დორტმუნდი-ჰანოვერი | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 18.30 | 2117 | არმინია-მ.გლადბახი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 18.30 | 2118 | ჰამბურგი-შალკე | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 18.30 | 2119 | კოტბუსი-კ.ლაუტერნი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 16.30 | 2120 | ასტონ ვილა-მანჩესტ. | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 19.00 | 2121 | ბლექბერნი-არსენალი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 19.00 | 2122 | ჩარლტონი-ნიუკასლი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 200 | 10,0 | 3,8 |
| 19.00 | 2123 | ევერტონი-ვესტ ჰემი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 19.00 | 2124 | ფულემი-საუთჰემპტონი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 19.00 | 2125 | ლიდსი-მიდლსბრო | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 19.00 | 2126 | სანდერლ.-ბოლტონი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 21.00 | 2127 | რეჯინა-მილანი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 23.30 | 2128 | იუვენტუსი-მოდენა | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,4 | 5,6 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 22.00 | 2129 | ვილიარეალი-რეალი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 23.45 | 2130 | დეპორტივო-რაიო | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 00.30 | 2131 | რასინგი-სოსიედადი | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,2 |
| | | **16 მარტი** | | | | | | | | | |
| 20.30 | 2132 | ნიურნბერგი-ჰერტა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 20.30 | 2133 | მიუნხენი-შტუტგარტი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 18.00 | 2134 | სიტი-ბირმინგემი | 2,6 | 10,0 | 20.0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 19.00 | 2135 | ტოტენჰემი-ლივერპული | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 20.05 | 2136 | ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 18.00 | 2137 | ბოლონია-უდინეზე | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 18.00 | 2138 | ბრეშა-ტორინო | 3,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.00 | 2139 | კიევო-პარმა | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 18.00 | 2140 | ინტერი-კომო | 1,4 | 20,0 | 40,0 | 3,4 | 6,0 | 17,0 | 35,0 | 17,0 | 17,0 |
| 18.00 | 2141 | პერუჯა-რომა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 18.00 | 2142 | პიაჩენცა-ატალანტა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 23.30 | 2143 | ლაციო-ემპოლი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 20.00 | 2144 | ატლეტიკო-სელტა | 3,1 | 12,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 20.00 | 2145 | ესპანიოლი-მალაგა | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 20.00 | 2146 | ოსასუნა-მალიორკა | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 20.00 | 2147 | ბეტისი-უელვა | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 20.00 | 2148 | ვალიადოლ.-სევილია | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 22.00 | 2149 | ალავესი-ბარსელონა | 4,8 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 23.30 | 2150 | ბილბაო-ვალენსია | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

15.03 18.30 2601 გერმანია ბლ. (XXV ტური) 25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
15.03 16.30 2602 ინგლისი პლ. (XXX ტური) 25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
15.03 21.00 2603 იტალია “A” (XXV ტური) 23 ან ნაკლები – 1,9, 25 ან მეტი – 1,9
15.03 22.00 2604 ესპანეთი Iდ. (XXVI ტური) 25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
14.03 01.00 2605 პორტუგალია Iლ.(XXV ტური) 23 ან ნაკლები – 1,9, 25 ან მეტი – 1,9
15.03 22.30 2606 ჰოლანდია Iდ. (XXIV ტური) 25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
15.03 23.00 2607 ბელგია Iდ. (XXVI ტური) 26 ან ნაკლები – 1,9, 28 ან მეტი – 1,9
14.03 22.00 2608 თურქეთი (XXIV ტური) 26 ან ნაკლები – 1,9, 28 ან მეტი – 1,9

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **15 მარტი** | | |
| 18.30 | 2313 | ლევერკუზენი-ვოლფსბურგი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2314 | ბოხუმი-ბაიერნი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2315 | ჰანზა-ვერდერი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2316 | დორტმუნდი-ჰანოვერი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2317 | არმინია-მიონხენგლადბახი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2318 | ჰამბურგი-შალკე | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2319 | კოტბუსი-კაიზერსლაუტერნი | 1,7 | 1,9 |
| 16.30 | 2320 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2321 | ბლექბერნი-არსენალი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2322 | ჩარლტონი-ნიუკასლი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2323 | ევერტონი-ვესტ ჰემი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2324 | ფულემი-საუთჰემპტონი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2325 | ლიდსი-მიდლსბრო | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2326 | სანდერლენდი-ბოლტონი | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2327 | რეჯინა-მილანი | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2328 | იუვენტუსი-მოდენა | 1,8 | 1,8 |
| 22.00 | 2329 | ვილიარეალი-რეალი | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2330 | დეპორტივო-რაიო | 1,75 | 1,85 |
| 00.30 | 2331 | რასინგი-სოსიედადი | 1,7 | 1,9 |
| | | **16 მარტი** | | |
| 20.30 | 2332 | ნიურნბერგი-ჰერტა | 1,7 | 1,9 |
| 20.30 | 2333 | მიუნხენი-შტუტგარტი | 1,6 | 2,0 |
| 18.00 | 2334 | სიტი-ბირმინგემი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2335 | ტოტენჰემი-ლივერპული | 1,65 | 1,95 |
| 20.05 | 2336 | ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2337 | ბოლონია-უდინეზე | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2338 | ბრეშა-ტორინო | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2339 | კიევო-პარმა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2340 | ინტერი-კომო | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2341 | პერუჯა-რომა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2342 | პიაჩენცა-ატალანტა | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2343 | ლაციო-ემპოლი | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2344 | ატლეტიკო-სელტა | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2345 | ესპანიოლი-მალაგა | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2346 | ოსასუნა-მალიორკა | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2347 | ბეტისი-უელვა | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2348 | ვალიადოლიდი-სევილია | 1,7 | 1,9 |
| 22.00 | 2349 | ალავესი-ბარსელონა | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2350 | ბილბაო-ვალენსია | 1,7 | 1,9 |

საქართველოს 12 ჩემპიონატი

## საქართველოს ჩემპიონატი

13 მარტი. ვერის ბაღი

### სსუ 62:83 დინამო

13:20, 19:25, 19:28, 11:10

სსუ: ურიდია (8), სორდია (27), კანკია (4), ბარბაქაძე, აბულაძე (15); ჩიტაშვილი, პატარაია, ონიკაშვილი, მურჯიკნელი, ქვილითაია (4), მ. ხოშტარია, ლუკავა (4)
დინამო: თორთლაძე (6), აბრამიძე (11), რ. ჩხეიძე, ბეჟანიშვილი (11), ვენსკუნასი (23); ნაცვლიშვილი (7), მარკოიშვილი (10), ჩუბინიძე (7), ნინიაშვილი (8)
მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, ზურაბ ანდრიაძე; კომისარი: როლანდ გელოვანი

### სტუ 87:78 თსუ

31:21, 12:22, 24:17, 20:18

სტუ: ტუღუში (7), ლოსაბერიძე (33), დავითულიანი (4), ტუჯანი (9), მუშკუდიანი (23); ნოზაძე (4), ხეცურიანი (4), მარხვაშვილი (3), ოთიურიძე, ახალკაცი
თსუ: ი. მაისურაძე (2), ტურაშვილი (4), შანიძე (14), კილაძე (4), ორმოცაძე (30); გ. ჩხეიძე (5), ბ. ბერიშვილი (11), კორძაძე (8)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე; კომისარი: მურმან ქურიძე

# დიდი ღამე

## ცხოვრება ბნელში, თამაში ბნელში

დაუჯერებელი ქართული კალათბურთის ხასიათშია, ღამის მატჩი არ ნაცვლის საქმის გაურჩევლად. დავა იმისაა, ყველამ თავისი მოითხოვის და ბევრი არ დაგიდევთ, რამდენად სამართლიანია მისი მოთხოვნა. თუმც გუშინდელი სტუდენტური დერბის მონაწილეებს სამართლიანი პრეტენზიები ჰქონდათ მსაჯ-კომისრებთან.

უშუქობამ, ეროვნულ ჩემპიონატის ძველმა „მეგობარმა" გუშინ კვლავ მოაკითხა ვერის ბაღს. დაუპატიჟებელი სტუმარი სტუ — თსუ-ს მატჩის ბოლოს გამოცხადდა და დიდ აყალმაყალს დაუდო სათავე.

თითქოს არაფერი, ტბილისა და „ბრიდლაიას" პროჟექტორების გარეშეც გამართულა ვერის ბაღში თამაშები, მაგრამ მაშინ დარბაზს მზის სხივები მაინც ანათებდა. ახლა სტუდენტური დერბი იგივე უშუქობის გამო ბარე საათიანი დაგვიანებით დაიწყო და ელექტროენერგია კვლავ რომ გამოირთო, მოედანზე გვარიანად ბნელოდა. კაცი თოის ცხვირთან კი მიიტანდა, მაგრამ ტრიბუნიდან მოთამაშეთა ნომრების გარჩევა ჭირდა. ანუ ვერის ბაღში „არასაკალათბურთო ამინდმა" დაისადგურა. თსუ-საც მეტი რა უნდოდა, თამაშს 9 ქულით აგებდა, საფინალო სირენამდე კი წუთზე ოდნავ მეტი რჩებოდა და სტუდენტებმა მატჩის გაგრძელება იურჩს.

მოედნის კიდეზე მდგარი მსაჯი ზაზა მაჩალაძე ბურთით ხელში თსუ-ელებს საათამდე უხმობდა. მოედანზე აყვნენ ტექნიკოსებიც. მაყურებლებმა, ცხადია, სტუ-ს გულშემატკივართა გამოკლებით, უნივერსიტეტელებს გამოუცხადეს სოლიდარობა და მატჩის გადადებას ითხოვეს, მათ მიაჩნდათ, რომ ასეთ ვითარებაში თამაში კალათბურთელებთან ერთად თავად მათაც შეურაცხყოფდათ.

ბოლოს და ბოლოს, თსუ-ელები წამოდგნენ, მათ ალბათ სინდისის ქენჯნა იგრძნეს, მოწინააღმდეგე გუნდი მოედანზე უცდიდათ, ისინი კი თამაშზე უარს ამბობდნენ. მატჩიც განახლდა, მაგრამ ვაი ამ განახლებას. კალათბურთელები მოედანზე იდგნენ, მაყურებელი კი უსტვენდა. თუ შემთხვევით თსუ-ელებს ნაყვარლებიდან ბურთი ხელში, მსაჯს აძლევდნენ პასს და ასე ღლაბუც-ტაკიმასხარაობაში გაილია მატჩის დარჩენილი დრო.

დავა და საქმის გარჩევა თამაშის მერე უნდა გენახათ. თსუ-ელი მამუკა ტურაშვილი, რომელმაც პრინციპულად აღარ გააგრძელა თამაში, თავის მწვრთნელ გია ჯავახიშვილს მისდგა და არწმუნებდა, როგორ მოგატყუეს, მატჩის გაგრძელებას რატომ დათანხმდითო. ჯავახიშვილმა საიდანღაც ჩემპიონატის დებულება გამოაძვრინა და მსაჯთა ოთახში შევარდა. ზაზა, მაჩვენე აბა, სად წერია, ასეთ სიბნელეში რომ მატჩის გაგრძელებაზე უარის თქმა არ შეგვეძლოო — უთხრა ჯავახიშვილმა მსაჯ ზაზა მაჩალაძეს.

მაჩალაძემ დებულება მუხლებზე დაიდო და ფურცვლა დაუწყო, მაგრამ გაუგრძელდა რაღაც. ჯავახიშვილი სულთამხუთავივით წამოსდგომოდა მსაჯს და უკიჟინებდა, მაჩვენე, მაჩვენეო. მაჩალაძეს ამ მატჩის კომისარი მურმან ქურიძე გამოესარჩლა, რომელმაც ის იყო თავი დააღწია ტელეჟურნალისტების ტყვეობას. ქურიძის არგუმენტი ასეთი იყო: თუ მატჩის ნახევარზე მეტი ნათამაშებია, შეხვედრა უნდა ჩამთავრდესო. კი, ბატონო, მაგრამ თუ ფარი არ ჩანს, სიბნელეში როგორ ვითამაშოთო, მიუგო თსუ-ს მწვრთნელმა. კომისარმა გამჭრიახად უპასუხა მწვრთნელს — შე კაი კაცო, მოწინააღმდეგისთვისაც ისევე არ ბნელოდა, როგორც თქვენიანებისთვისო. ჯავახიშვილი მაინც უკმაყოფილო დარჩა, ისევე, როგორც მთელი თსუ.

არადა, მატჩი რომ წაგებული იყო, ამას თსუ-ელებიც აღიარებდნენ. „სტუჯეოსელმა" თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ ჩვეულ სწრაფ ტემპში ჩაატარა მეორე ნახევარი და გამარჯვებაც დაიმსახურა.

სტუ-სა და თსუ-ს ძლიერი გუნდები უპირველესად ყოჩაღი უკანა ხაზის წყალობით ეთქმით. ამ გუნდების მთავარი იარაღი კონტრშეტევაა. მაგრამ გაჭირვება რას არ გასწავლისო და, ტექნიკოსთა უკანა ხაზმა რომ იძალა, უნივერსიტეტელებმა ფარქვეშეთიდან დაიწყეს ჩეირის ძიება. კოტე ტუღუშისა და ლაშა ლოსაბერიძის სწრაფ გარღვევებს თსუ-ელებმა მეტოქის ზონაში თამაში დაუპირისპირეს. მეორე მეოთხედში მოედანზე გამოჩნდა ზორბა ცენტრი გოდერძი კორძაძე, რომელსაც ამროსი ორმოცაძეც წაეშველა და თსუ-მ მათი წყალობით აღმოფხვრა 10-ქულიანი დეფიციტი.



ქართველები მალე ალბათ სანთლის შუქზეც ითამაშებენ

პირველი ტაიმი 43:43 დასრულდა და თითქოს ბოლომდე თანაბარი ბრძოლა უნდა გაჩაღებულიყო, მაგრამ სტუ-ს ცენტრი დავით მუშკუდიანი ათამაშდა, მას დაცვაში ჟოლივეტ ტუჯანიმაც აუბა მხარი და მათმა გუნდმა თსუ-ელ მეფარეთა შემოტევაც უკუაგდო.

ლოსაბერიძემ მეტი თავისუფლება იგრძნო და სტუ-ს ფარზე განაახლა ლაშქრობა. ამ მატჩში ჩაგდებული 33 ქულიდან მან ნახევარზე მეტი სწრაფი გარღვევებით მოიპოვა. მალე თამაშის ბედიც გაირკვა და შემდეგ შუქიც წავიდა...

ამ სკანდალურ მატჩამდე გაიმართა „დინამო" — სსუ-ს შეხვედრა, რომელიც მთლიანად უშუქობაში ჩატარდა, მაგრამ კაციშვილს პრეტენზია არ გამოუთქვამს, ბოლო-ბოლო, ფარი ჩანდა... მატჩი, რა თქმა უნდა, „დინამომ" მოიგო.

**ირაკლი პერტაია**

### სატურნირო ვითარება

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 23 | 20 | 3 | + 454 | 43 |
| ბასკო | 23 | 17 | 6 | + 537 | 40 |
| სტუ | 22 | 18 | 4 | + 370 | 40 |
| თსუ | 22 | 15 | 7 | + 140 | 37 |
| აზოტი | 21 | 12 | 9 | + 25 | 33 |
| მაკაბი | 23 | 7 | 16 | - 420 | 30 |
| ქუთაისი | 23 | 4 | 19 | - 356 | 27 |
| სსუ | 22 | 5 | 17 | - 433 | 27 |
| აკადემია | 21 | 2 | 19 | - 317 | 23 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# 36 000 YES!

## მელოუნი „ცოცხლებში" ყველაზე მდიდარია




REUTERS

კარლ მელოუნი 39 წლისაც 40-ქულიანია

კარგახნიანი აღმასვლის შემდეგ ჩემპიონმა, „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" ცოტა სულის მოთქმა გადაწყვიტა და ორი მატჩი ჩააგდო. წყნარი ოკეანის მღელვარე ნაპირებიდან დიდი ტბების მისადგომებს ნასტუმრებმა ნბა-ს ზარდამცემებმა ჯერ ნედლ „ჩიკაგო ბულზთან" წააგეს, რის შემდეგაც ყველა ზარმაცის რისხვის, „დეტროიტ პისტონზის" წერა გახდნენ. ამდენი გამარჯვებით თავმობეზრებულმა „ლეიკერსმა" მეორე მეოთხედიდან ჩათვლიმა. ალბათ 29:18 მოგებული პირველი მეოთხედგანაკვეთი საკმარისად ჩათვალა. „დეტროიტი" კი ფხიზლობდა. მასპინძლებმა დიდ შესვენებამდე დააზვავინეს შაკილ ონილის და კობი ბრაიანტის გარშემო ცხვრის ფარად ქცეულ ჩემპიონებს და იოლად მიიყვანეს საქმე სახელიან სტუმართა 23-ქულიან განადგურებამდე.

სეზონში უმეტესი, 33 ქულა მიითვალა „დეტროიტის" ნახევრადვარსკვლავმა გამთამაშებელმა ჩონსი ბილაფსმა, ხოლო ევროპაში ვარსკვლავმა და ამერიკაში მუშად წასულმა თურქმა მეჰმედ ოქურმა ოთხთვიან ნბაურ კარიერაში სარეკორდოდ ბევრი, 22 ქულა მიითვალა.

თუკი „ლეიკერსი" ასე უხვად დაუთმობს მეტოქეებს თამაშებს, მაშინ პლეიოფის პირველ წრეში მოედნის უპირატესობის ლათმობაც მოუწევს. ჩემპიონი საღეისოდ მხოლოდ მეშვიდეა და პირველ ოთხეულამდე „პორტლენდის", „იუტასა" და „მინესოტას" ერთად ჩამოტოვება მართებს, რაც თვით ბოლო წლების უძლიერესი გუნდისთვისაც შეუძლებელი იქნება. ლოსანჯელესელთა წინარე გუნდები კარგ სვლაზე არიან და მეტოქეთაც დაუზოგავად ამათრახებენ. ახლაც მხოლოდ „მინესოტამ" წააგო, ამასთან საპატიო მეტოქესთან, „სან ანტონიოსთან".

ბებრების „იუტა ჯაზი" ორლანდოში იქაური ყოჩაღი გუნდის „მეჯიქის" დასმარცხებლად ჩასულიყო და თავისი გაჭირვებით, მაგრამ მაინც გაიტანა. მართალია, იუტელებმა პირადად ვერა დააკლეს ლიგის პირველ ბომბარდირს და სამი წლის განმავლობაში „ორლანდოს" მარტოდ მთრეველ ტრეისი მაკგრეიდის, მან 32 ქულა ჩააგდო, მაგრამ ქულების მომხვეჭი სტუმრებსაც მოეძებნათ. ბეხრეკმა კარლ მელოუნმა, ვისაც ამ ზაფხულს 40 წელი უსრულდება, „ორლანდოს" 40 ქულა ჩაუგდო და 111:108 მოაგებინა.

მელოუნს ყველა თანაგუნდელმა მიულოცა ბრწყინვალე თამაში და იშვიათი მიღწევა. საქმე ისაა, რომ ბებერმა კარლმა კარიერაში მოხვეჭილი ქულები ამ თამაშის მიმდინარეობისას 36 ათასამდე აიყვანა. ასეთი რამ ოდესღაც გაუკეთებია ქარიმ აბდულ-ჯაბარს, ნბა-ს ისტორიაში ყველაზე მეტი, 38387 ქულის გამკეთებელ ლეგენდარულ ახმახს. თანაგუნდელებმა კი მელოუნს მილოცვასთან ერთად ჯაბარის გადასწრება უსურვეს. მელოუნს ქარიმის უნიკალური რეკორდის დასამხობად ორი რიგიანი სეზონი ეყოფა. სავსებით რეალური ვადაა მელოუნისთანა ყოჩაღი ბებრისთვის. კარლს კარგა ხანია, ბლანჟში ჭაღარა შეეპარა, მაგრამ, აგერ ხედავთ, მეტოქეთა დაწიოკებას მაინც ახერხებს.

**ირაკლი ფირაშვილი**

### აღმოსავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტის დივიზიონი** | | | |
| ნიუ ჯერსი | 39 | 25 | 60,9 |
| ფილადელფია | 37 | 26 | 58,7 |
| ბოსტონი | 37 | 27 | 57,8 |
| ორლანდო | 33 | 33 | 50,0 |
| ვაშინგტონი | 31 | 33 | 48,4 |
| ნიუ იორკი | 28 | 36 | 43,8 |
| მაიამი | 21 | 43 | 32,8 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| დეტროიტი | 40 | 23 | 63,5 |
| ინდიანა | 38 | 27 | 58,5 |
| ნიუ ორლეანი | 37 | 29 | 56,1 |
| მილუოკი | 32 | 33 | 49,2 |
| ატლანტა | 26 | 39 | 40,0 |
| ჩიკაგო | 23 | 43 | 34,8 |
| ტორონტო | 20 | 42 | 32,8 |
| კლივლენდი | 11 | 53 | 17,2 |

### დასავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 48 | 15 | 76,2 |
| სან ანტონიო | 45 | 18 | 71,4 |
| მინესოტა | 42 | 25 | 62,7 |
| იუტა | 37 | 27 | 57,8 |
| ჰიუსტონი | 33 | 30 | 52,4 |
| მემფისი | 23 | 41 | 35,9 |
| დენვერი | 14 | 51 | 21,5 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 45 | 19 | 70,3 |
| პორტლენდი | 42 | 22 | 65,6 |
| ლეიკერსი | 35 | 28 | 55,6 |
| ფინიქსი | 33 | 30 | 52,4 |
| გოლდენ სტეიტი | 31 | 33 | 48,4 |
| სიეტლი | 28 | 34 | 45,2 |
| კლიპერსი | 20 | 44 | 31,3 |

12 მარტი

**პორტლენდი 125:103 ტორონტო**
პორტლენდი: სტუდემაიერი (20)
ტორონტო: კარტერი (21), ლენარდი (18)

**მინესოტა 99:111 სან ანტონიო**
მინესოტა: ჰადსონი (30), გარნეტი (17)
სან ანტონიო: ჯექსონი (22), დანკანი(18)

**ბოსტონი 93:65 ნიუ ორლეანი**
ბოსტონი: უოლკერი (23), პირსი (21)
ნიუ ორლეანი: დევისი (16)

**ჰიუსტონი 118:114 კლიპერსი**
ძირითადი დრო 104:104
ჰიუსტონი: ფრენსისი (25), რაისი (25)
კლიპერსი: მეჯიტი (29), მილერი (22)

**დეტროიტი 111:88 ლეიკერსი**
დეტროიტი: ბილაფსი (33), ოქური (22)
ლეიკერსი: ონილი (24), ბრაიანტი (21)

**ორლანდო 108:111 იუტა**
ორლანდო: მაკგრეიდი (32), გარიტი (20)
იუტა: მელოუნი (40)

**ფილადელფია 96:93 ინდიანა**
ფილადელფია: აივერსონი (31)
ინდიანა: არტესტი (25)

**ატლანტა 111:92 მილუოკი**
ატლანტა: აბდურ-რაჰიმი (29), ტერი (22)
მილუოკი: კასელი (24), პეიტონი (19)

**მემფისი 124:95 ჩიკაგო**
მემფისი: გასოლი (27)
ჩიკაგო: კარი (21 ქულა, 10 მოხსნა)

# გუ-გუ
## ცხვირაწეულ ფედერერს კუერტენის წაიპურტი ზედ ცხვირზე მოხვდა


REUTERS

გუსტავო კუერტენი

**PACIFIC LIFE OPEN**
**ინდიან უელსი. პარდი**
**კაცები**

**მეორე წრე**

**ლეიტონ ჰიუიტი** (1, ავსტრალია) — ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) 6:3, 6:2; **ბრაიან ვაალი** (აშშ) — ხუან კარლოს ფერერო (3, ესპანეთი) 6:4, 3:6, 6:3; **გუსტავო კუერტენი** (ბრაზილია) — როჯერ ფედერერი (4, შვეიცარია) 7:5, 7:6 (7:3); **კარლოს მოია** (5, ესპანეთი) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:0, 6:2; **ენდი როდიკი** (6, აშშ) — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 6:4, 6:3; **მარატ საფინი** (7, რუსეთი) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 6:4, 6:3; **ოლივიე როხუსი** (ბელგია) — ალ კოსტა (8, ესპანეთი) 5:7, 6:4, 6:4; **რობი ჯინეპრი** (აშშ) — ირჟი ნოვაკი (9, ჩეხეთი) ნოვაკმა ვერ ითამაშა; სებასტიან გროჟანი (11, საფრანგეთი) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:3, 6:3; **აგუსტინ კალერი** (არგენტინა) — ტიმ ჰენმანი (13, ბრიტანეთი) 6:4, 7:6 (7:4); **ტომი რობრედო** (ესპანეთი) — სხენგ შალკენი (14, ჰოლანდია) 5:7, 6:2, 6:0; **რაინერ შიუტლერი** (15, გერმანია) — მარიანო საბალეტა (არგენტინა) 6:3, 6:3; **გილერმო კორია** (არგენტინა) — ალექს კორეჩა (16, ესპანეთი) 6:2, 6:1; **ვინსენტ სპადია** (აშშ) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:3, 6:2; **მაქს მირნი** (ბელარუსი) — მარსელო რიოსი (ჩილე) 6:3, 6:3; **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ) — ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) 6:1, 6:4

კალიფორნიაში იმ დღეს ისედაც საშინელი ხვატი იყო, ხოლო როცა მეჩოგნეებმა ალმურიან ჰაერს თავიანთი ჯიგარიც შეუნთეს, კორტზე გაჩერება სულ მთლად აუტანელი გახდა. საკირესა და მეტოქეთა შმაგობას ერთბაშად შვიდმა განთესილმა ვერ გაუძლო, შარშანდელი ჩემპიონი, ამქრის უსტაბაში ლეიტონ ჰიუიტი კი მეოთხედფინალში შაბაშად და რამე-რუმედ გავიდა.

კისკასმა ოზბიჭმა მისდარად ორგზის მესლემტიტულე რუს ევგენი კაფელნიკოვს აჯობა. განსხვავებით საპირველწრეო შეხვედრისგან, სადაც მას სამი მატჩბურთის მოგერიება და მაღრიბელ ელ აინაუის მოსაშთობად ბეწვის ხიდზე მუშაითობა დასჭირდა, ჭაბუკ ავსტრალიელს ნებისყოფა ერთხელაც არ დაუძაბავს. ვეტერანმა სკვითმა მას ჩოგანი საკადრისად ვერ შეუბრუნა და მერვე საკარიერო შეხლაში უკვე მეშვიდედ დანებდა.

რაც შეეხებათ ოტებულ განთესილებს, მათ ჰიუიტისკბილა ჯეელებმა — კოლო ფერერომა (3) და თებერვალში ორი ტიტულის მიმთვლელმა როჯერ ფედერერმა უყოჩეს.

ფერეროს სრულიად მოულოდნელად მოერია ამერიკელი მეკვალიფიკაციე ბრაიან ვაალი, რომელიც 23 წლისაა, მსოფლიო რეიტინგსიაში მხოლოდ 82-ე საფეხური უპყრია და იმ დღეს პირველად იმარჯვა ვინგინდავინ ზეათეულელთან.

ზორბა ფედერერს კი — ვინაც წარმატებული სათებერვლო გარჯის შემდეგ უმალ კლასიფიკაციის მწვერვალოსნობაზე ალაპარაკდა — ახურებული ამბიციები სამგზის მეროლანგაროსე გუგა კუერტენმა დაუგრილა. ეს გუგას უმნიშვნელოვანესი საწლევანდლო გამარჯვება იყო.

კუერტენი: „ჩემი მიზანი ზეპურ მარაქაში დაბრუნებაა და საამისოდ ყველაფერს ვაკეთებ... წელიწადზე გაცილებით მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ცინცინატის მასტერსტურნირი მოვიგე. მაშინ მართლაც მაგარ ფორმაში ვიყავი, შარშანდელი ოპერაციის მერე კი ყველაფერი სხვანაირადაა — ასეთ ბარაქიან შეხვედრებს ეგრე იოლად ვეღარ ვიგებ ხოლმე... ვფიქრობ, ამ ტურნირის ფავორიტთა შორის განსახილველი მაინც არა ვარ, თუმცა ისიც ნაღდია, რომ გამარჯვებები ახლა სხვებზე მეტად მე უფრო მწყურია."

ფედერერი: „დღეს კარგად ვერ ვაწოდე და თან ბევრი შეცდომაც დავუშვი. გული მწყდება, რადგან ამ მატჩის მოგება უპრობლემოდ და კამაცკამაც შემეძლო."

სხვაფრივ: წყვილად დაიჩოგნენ ესპანელი დოსტები — შარშანდელი მეროლანგაროსე კოსტა და მისი მეჯვარე კორეჩა; ესპანური არმადიდან გზა მხოლოდ კარლოს მოიამ და უსახელო ტომი რობრედომ განაგრძეს; დარჩენილ 16 კაცში ხუთი ამერიკელია — ასეთი რამ კი მასპინძლებმა უკანასკნელად 1996 წელს მოახერხეს; ირჟი ნოვაკი გახდა მეთერთმეტე მოთამაშე, რომელსაც ჩოგნაობის ხალისი მავანმა ამფალარეთებელმა ჭიამ წაუმურდლა; და კიდევ — ოდენ საპირველწრეო გამარჯვებას დააყაბულეს ბრიტანელი ტიმ ჰენმანი, რომელმაც შარშან ნოემბერში მხრის ოპერაცია გაიკეთა და სასურველ[illegible] სგან ჯერაც მრავალ[illegible]

**ქალები**
**საპრიზო 2,1 მილიონი $**

**მეოთხედფინალი**

**ჯენიფერ კაპრიატი** (2, აშშ) — ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) 7:5, 6:2; **ლინდსი დევენპორტი** (4, აშშ) — ამელი მორესმო (5, საფრანგეთი) მორესმომ ვერ ითამაშა

ბობოლა ამერიკელებმა — ჯენი კაპრიატიმა და ტურნირის ორგზის ჩემპიონმა ლინდსი დევენპორტმა ნახევარფინალისკენ ჯუფთად და უზრუნველად გააღწიეს. ოღონდ, თუკი ჯენის უსახელო ზვონარიოვასთან ორსეტიანად წადეღლავება მაინც მოუხდა, ლინდსის ჩოგანიც არ გაუქნევია — მორესმოს უეცრად ყელი ასტკივდა და ისე ცუდად გახდა, ბურთაობის კი არა, ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდა.

დევენპორტი, ვისაც იქ 1997 და 2000 წლებში უპირველია, წლეულს უკვე მესამე ნახევარფინალში გავიდა. ალრეიანვარში ის სიდნეის ფინალისტი იყო, ავსტრალიის ღია პირველობაზე მეოთხე წრემდე იომა, ხოლო თებერვალში ტოკიურ მაგარსაფარზე კარიერის 38-ე ტიტული მოიხვეჭა.

კაპრიატი კი წლეულს მეორე ტურნირზე გამოდის და ეს მისი მეორე ნახევარფინალი იქნება.

დევენპორტსა და მას აქამდე ცხრაჯერ უთამაშიათ და — ვგებ თქვენც გახსოვდეთ — ამ ცხრიდან შვიდი დევენპორტის გამარჯვებით დასრულდა.

**ლევან ძელაურაძე**

# ბიჭებს ვნახავ, დაველაპარაკები
## ჰიუიტი სპორტის ჩინოვნიკებს უტევს



**კაცთა** ამქრის პირველმჩოგნე ლეიტონ ჰიუიტი ამბობს, რომ იგი მხარს უჭერს კაცთა საერთაშორისო საჩოგბურთო ასოციაციის (IMTA) შექმნის იდეას.

„რასაკვირველია, მხარს ვუჭერ — თქვა მან ევგენი კაფელნიკოვის ძლევის შემდეგ პრესკონფერენციაზე — ჩემი საეტიპიო გამოცდილების მქონე მეჩოგნე არ შეიძლება, ამას არ ემხრობოდეს. მე ნაღდად ვიცი, რომ აქ ძალიან ბევრი რამის გაკეთება შეიძლება."

ჰიუიტი, ვისაც ეიტიპელ მახვშებთან ერთობ წამურდლული ურთიერთობა აქვს, პირველი ზეათეულელია, ვინაც მოთამაშეთა ინტერესების დასაცველად ახალი ორგანიზაციის შექმნას სასურველ ამბად მიიჩნევს.

მისი თქმით, ამ კვირაში ეიტიპის მამათა მამასთან, მარკ მაილზთან წვეულ ზეპურ მეჩოგნეებს — წინაამდეგ მისი დევისდოსტის, ტოდ ვუდბრიჯის მიერ წინა დღეს გავრცელებული ინფორმაციისა — საერთოდ არ უმსჯელიათ ორგანიზაციაში არსებული განხეთქილების თაობაზე.

„ბიჭებმა მხოლოდ სადიდსლემო ფინანსებზე ისაუბრეს. ამ შეხვედრას არაფერი საერთო არ ჰქონია მოჯანყეთა და კონკრეტულად უეინ ფერეირას მოთხოვნებთან. ამაზე იქ, მგონი, ერთი სიტყვაც არ თქმულა."

ჰიუიტს ჯერ არ გადაუწყვეტია, მოაწერს თუ არა ხელს აიემტიეის შექმნის დოკუმენტს, თუმცა საქმეს მაინც ისეთი პირი უჩანს, რომ უფრო — კი.

„ყველაფერში ბოლომდე და კარგად უნდა გავერკვე. ბიჭებს უნდა დაველაპარაკო... თუკი ახალი ორგანიზაცია მოთამაშეთა მხარდასაჭერად იქმნება, რატომ არ უნდა მივიღო მონაწილეობა მის შექმნაში?!"

ჰოდა, ალბათ მიიღებს კიდეც.

ჩვენ კი შეგახსენებთ:

უეინ ფერეირა და მისი ძმობილები ეიტიპელ მამებს იმის გამო ემდურიან, რომ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღებისას მათ ხმას ყურს არავინ ათხოვებს და რომ ისინი საკმარისად ვერ მონაწილეობენ ორგანიზაციის ფინანსთა განკარგვაში.



რამდენი დაიკო და ძამიკო უნდა ჯეიდენ ჯილს?

# მრავალგზის მესლემტიტულენი მრავალგზის მშობლობას გეგმავენ

„USA TODAY"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ანდრე აგასიმ შვილიერების მატება ისურვა.

„ჩვენი პირმშო ჯეიდენ ჯილი ისეთი კარგი ვინმეა, რომ მინდა, უფრო მეტი ბავშვი გვყავდეს — ასე ხუთიდან შვიდამდე" — თქვა მან.

მარტო ერთ ბიჭუკელაზე გაჩერებას არც მისი მეუღლე შტეფი გრაფი გეგმავს, მაგრამ ის ჯერჯერობით მხოლოდ „ჯეიდენ ჯილისთვის პატარა დაიკოს აუცილებლობაზე" საუბრობს.

იმავე ინტერვიუში რვაგზის მესლემტიტულე არმენოამერიკელმა თავის 22-გზის მესლემტიტულე ცოლის ხასიათზეც წაიჭორავა და თქვა, რომ საროლანგაროსო წყვილაობაზე მისი დაყოლიება ალბათ არ გამოუვა:

„ჩოგანი რომ ჩამოკიდა, კორტისკენ აღარ გაუხედავს. ეგეთია — სულ მომავლისკენ იყურება და მხოლოდ ისეთ საქმეს ეჭიდება, რომლის შესრულებაც ბოლომდე სჯერა."



**რეგულარული ჩემპიონატი**

# ახალმა ცოცხებმა ლიგა გამოაცოცხლა

— 12 მარტი —

**ბუფალო 2:3 კაროლინა** *2:0 0:1 0:1 0:1*
1:0 მერი (19), 2:0 კონოლი (20), 2:1 ფრენსისი (21), 2:2 ვრბატა (60), 2:3 ადამსი (64)

**ტამპა 4:2 ლოს ანჯელესი** *0:0 2:1 2:1*
1:0 სარიჩი (23), 2:0 პროსპალი (31), 2:1 ფროლოვი (34), 2:2 ლაპერიე (50), 3:2 ფედოტენკო (58), 4:2 ლეკავალიე (60)

**პიტსბურგი 2:2 ნეშვილი** *0:1 0:0 2:1 0:0*
0:1 ჯონსონი (8), 1:1 ლეფევრი (47), 1:2 ბოულდერი (54), 2:2 ჰოლცინგერი (58)

**ფლორიდა 0:4 მონრეალი** *0:1 0:2 0:1*
0:1 პერო (12), 0:2 სუნესტრიომი (22), 0:3 ვუორდი (24), 0:4 ჰოსა (58)

**მინესოტა 4:2 დალასი** *4:0 0:0 0:2*
1:0 ჰენდრიკსონი (8), 2:0 კუბა (12), 3:0 ბრიუნეტი (15), 4:0 ლააკსონენი (16), 4:1 ლეპტინენი (42), 4:2 არნოტი (47)

**ფინიქსი 2:3 დეტროიტი** *0:2 1:1 1:0*
0:1 ვული (6), 0:2 ლარიონოვი (14), 1:2 ნადი (22), 1:3 ჰოლმსტრიომი (26), 2:3 ჯონსონი (57)

**ანაჰაიმი 5:2 ჩიკაგო** *1:1 3:0 1:1*
0:1 სალივანი (5), 1:1 ტომასი (13), 2:1 ლეკლერკი (23), 3:1 ტომასი (28), 4:1 სიკორა (34), 4:2 სალივანი (55), 5:2 კროგი (60)

დედლაინის მომდევნო დღეს, ბუნებრივია, ყურადღების ცენტრში ახალ კლუბებში გადასულნი მოექცნენ. ბოსების ნდობა რომ დაემსახურებინათ, მათ რა თქმა უნდა, ძალიან მოიწადინეს. ახალწვეულებმა, გამოცდილი ვეტერანი იქნებოდა თუ ყმაწვილი დებიუტანტი, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მატჩებში. აწ უკვე კაროლინელმა რადიმ ვრბატამ ბუფალოსთან ძირითადი დროის დასრულებამდე 10 წამით ადრე თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა და „ქარიშხლებმა" გამარჯვებასაც კი გამოჰკრეს ხელი.

პიტსბურგელთაგან ორივე გოლი ახლებმა — გიიომ ლეფევრმა და ბრაიან ჰოლცინგერმა მიითვალეს და თავიანთ ახალ გუნდს ბოლო 10 მატჩში პირველი ქულა შესძინეს. საინტერესოა, რომ ლეფევრი თავის ყოფილ კლუბ ფინიქსში ძირითად შემადგენლობაშიც კი ვერ ხვდებოდა, ხოლო პიტსბურგის 20 მოთამაშისგან 10(!) ჯერ კიდევ ერთი თვის წინ სხვა გუნდში თამაშობდა.

„ოდესლაც ხომ უნდა დაგვეწყო რეორგანიზაცია. ვფიქრობ, დღეს ორი ახალი მოთამაშის გოლი კარგის ნიშანია" — თქვა მატჩის შემდეგ მარიო ლემიემ.

დეტროიტის მოგებაში საგოლე პასით თავისი წვლილი გამოცდილმა მეტიუ შნაიდერმაც შეიტანა, მაგრამ ახალწვეულთაგან მთავარი გმირი მაინც სტივ ტომასი გახდა. 39 წლის ვეტერანმა ანაჰაიმის რიგებში ჩატარებულ პირველივე მატჩში დუბლი შეასრულა, თანაც ეს თავის წინა კლუბ ჩიკაგოსთან მატჩში გაახერხა. მეორე გოლში მას დახმარება ყოფილმა თანაკლუბელმა, მეკარე ჟოსლენ ტიბომ გაუწია, ლამის მოედნის შუაგულიდან გაატანინა.

„საოცარი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ჩიკაგოს წითელ მაისურაში ვთამაშობდი. იმედია, მომდევნო მატჩში ასეთი შეგრძნება აღარ მექნება" — თქვა ტომასმა.

**სამველ ღარიბიანი**


REUTERS

ეს ეპიზოდი იმით დამთავრდა, რომ ფლორიდელმა ბაირონ რიჩიმ მონრეალელ ჟოზე თეოდორს მაინც ვერ გაუტანა

ძიუდო

# დაკვირვება ვარშავაში გრძელდება



შოთა ხაბარელი ყველას აკვირდება

**საქართველოს** ძიუდოისტები ერთი მეორის მიყოლებით ასპარეზობენ საერთაშორისო ტურნირებზე, რომლებიც იმავდროულად ოლიმპიადის სალიცენზიო შეჯიბრებებია. ისინი წლევანდელი კალენდრის გათვალისწინებით ათი ამგვარი ევროპული საკვალიფიკაციო ტურნირიდან ხუთში უკვე გამოვიდნენ. ყველა ამათში ისინი განსხვავებული შემადგენლობით ასპარეზობდნენ, რადგან გუნდის ხელმძღვანელობა თითოეულ პოტენციურ ოლიმპიელს საქმეში ცდის. პარალელურად, ცხადია, ჩვენი ძიუდოისტები მეტ-ნაკლებ ოლიმპიურ სალიცენზიო ქულებს აგროვებენ და წლევანდელი ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებისთვისაც ემზადებიან. დღეისთვის საქართველოს ძიუდოისტები ძირითადად ოცზე მეტ ისეთ სპორტსმენს ითვლიან, რომელთაგან თითოეულს მეტ-ნაკლები შანსი აქვს ოლიმპიური ლიცენზიის მოსაპოვებლად. თუმცა, მათგან გუნდში მხოლოდ მესამედი მოხვდება, რაკილა ერთ წონაში მხოლოდ ერთი სპორტსმენის გამოყვანა შეიძლება.

ასეა თუ ისე, გუშინ ჩვენი ძიუდოისტები კიდევ ერთ A კატეგორიის საერთაშორისო ტურნირში საასპარეზოდ ვარშავაში გაფრინდნენ. ამჯერად საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელ შოთა ხაბარელს ზეზვა ებელაშვილის (66 კგ), მინდია ბოდაველის, გრიგოლ მამრიკიშვილის (ორივე — 81 კგ), ივერი ჯიქურაულის, გიორგი გუგავას (ორივე — 100 კგ), ალექსი დავითაშვილისა და რამაზ ჩოჩიშვილის (ორივე — მძიმე წონა) საბრძოლო მზადყოფნის შემოწმება განუზრახავს. მწვრთნელები ამ ეტაპზე დავით ქევხიშვილის (73 კგ) გამოცდასაც ფიქრობდნენ, მაგრამ ავადმყოფობის გამო იგი გუნდს მიღმა დარჩა.

დანარჩენი, თუ როგორ ჩააბარებენ გამოცდას, ამ შაბათ-კვირას გაირკვევა, როცა ტურნირი გაიმართება.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

**ავტორის ფოტო**

რაგბი

ევროპის ერთა თასი 2003. მეოთხე ტური

## ჩეხეთი — საქართველო

22 მარტი. პრაღა

# ჩეხები მთლად უბრალო ხალხი არ გეგონოთ

**ერთა თასის** მომდევნო მატჩს საქართველოს ნაკრები 22 მარტს პრაღაში გამართავს. ჩვენების მეტოქე ტურნირის დებიუტანტი ჩეხეთია, რომელმაც ამ სარაგბო შეჯიბრში ჰოლანდია შეცვალა. წლეულს ჩეხების მიზანი მოკრძალებულია: ერთა თასზე ადგილის შენარჩუნება და იქ არდაბრუნება, საიდანაც მოვიდნენ. „იქ ესაა, „ევროპის სინი" ანუ ერთა თასზე უმცროსი ტურნირი, რომელშიც გერმანია, ჰოლანდია, პოლონეთი, უკრაინა და შვედეთი მონაწილეობენ. აქვე ისიც დავაზუსტოთ: ახალი დებულებით, ერთა თასიდან ჩაქვეითებული და „სინიდან" მისი ადგილის დამკავებელი ნაკრები 2003-04 წლების ჯამური მონაგარით გამოვლინდება. ასე რომ, ჩეხებს ორი წელი აქვთ საიმისოდ, რათა საქართველოსთან, რუმინეთთან, რუსეთთან, პორტუგალიასთან და ესპანეთთან იამხანაგონ.

ლეგიონერთა ოდენობით ჩეხები მხოლოდ საქართველოსა და რუმინეთს ჩამოუვარდებიან. ასეთი 11 ჰყავთ, ამათგან რვა ფრანგულ კლუბებში, ერთი, ლადისლავ ვონდრაშეკი ინგლისურ „მარლოუში", ორი კი ესპანეთის ჩემპიონატში თამაშობს. „ესპანელები" არიან კარელ პეკაჩეკი და მარტინ კაფკა, რომლებიც შესაბამისად „ვალენსიას" და „მორალეხა ალკობენდას" ღირსებას იცავენ.

როგორც ყველა ნაკრებს, ჩეხებსაც ჰყავთ გამორჩეული მორაგბეები. მათი ლიდერები არიან 31 წლის მორკინალი იან მახაჩეკი და 25 წლის მარტინ იაგრი.

მახაჩეკის პროფესიული კარიერა ჩეხურ „პრაღაში" დაიწყო, რომელსაც ინგლისური „ნიუპორტი" და „სალე" მოჰყვა. ბრიტანეთიდან მახაჩეკი საფრანგეთში გადავიდა და „პონტაპრიდის" მაისურა ჩაიცვა, ბოლოს კი „მონფერანში" ჩაუშვა ღუზა და ჩვენი ლევან ცაბაძის თანაგუნდელი გახდა.

იაგრის კარიერა ჩეხეთის ჩემპიონ „ტატრა-სმიხოვის" უკანახაზელობით დაიწყო, მერე საფრანგეთის დაბალი დონის კლუბებში მოსინჯა ძალა და როცა გამოცდილება და კლასი შეიძინა, გია ლაბაძის „ტულონს" გაუფორმა კონტრაქტი, სადაც დღემდე თამაშობს. იაგრი „ტულონის" ძირითადი შემადგენლობის მორაგბეა და მარჯვენა გარემარბის პოზიციაზე თამაშობს, თუმც ნაკრებში შუამარბად და ფულბეკადაც (მე-15 ნომერი) იყენებენ.

ჩეხეთის ნაკრებზე და მათ ლიდერებზე ეს შესავალი იმიტომ დაგვჭირდა, რომ გუშინ ჩეხებმა ის 22 კაცი დაასახელეს, 22 მარტს ქართველებს რომ დაახვედრებენ. გამორიცხული არაა, მათ 5-6 მორაგბე დაემატოთ და წინასწარი შემადგენლობა გაფართოვდეს. ჩეხები ჩვენებთან მატჩისთვის პრაღაში მოემზადებიან და მატჩამდე 4 დღით ადრე შეიკრიბებიან. მათი 22-კაციანი შემადგენლობა კი ასეთია: *რომან შუსტერი, ლუკაშ რაპანტი (ორივე შამბერი), პაველ შასტნი (კასტრი), ირჟი სკალი, ტომაშ რიპშიკი (სპარტა), რენე კოლაჩეკი (ბრნო), იან ოსვალდი, იან ჟილა, რომან რივლი, ანტონინ ბრაბეცი (ტატრა-სმიხოვი), იან კურკა (ლიბორნი), ვლადისლავ ვონდრაშეკი (მარლოუ), იან მახაჩეკი (მონფერანი), კარელ პეკაჩეკი (ვალენსია), პაველ სიროვი, იოზეფ ფიშერი, ზდენეკ ზაკი (პრაღა), მარტინ კაფკა (მორალეხა ალკობენდასი), მარტი პეკარეკი (რუაჩანი), მარტინ იაგრი, იან როხლიკი (ტულონი)*

**ბაჩო სვანიძე**



მარტინ იაგრი



იან მახაჩეკი

მთის თხილამურობა



REUTERS

შტეფან ებერჰარტერი გლობუსებიანი კაცია

# გამჭვირვალე პროცესი

## ბროლის გლობუსის უკან ებერჰარტერის სახე ჩანს

ჩვენი ლაჟვარდოვანი დედამიწის ზემო ნახევარსფეროში ზამთარი თეთრ ცხვირსახოცს იქნევს და გაწყალებული თვალებით ემშვიდობება ფიფქების მოყვარულებს. ერთ-ორ კვირაში თოვლი დნობას დაიწყებს და ზამთართან ერთად თხილამურობის სეზონიც დასრულდება. მოთხილამურეებიც ამ დღეებში აპირებენ ყველაფრის მოთავებას.

სამთომოთხილამურეთა ბოლო საამსეზონო ფერდობი ნორვეგიულ ლილეჰამერში, დედაქალაქ ოსლოდან 200-იოდ კილომეტრით ჩრდილოეთითაა. ამ კოხტა ქალაქმა და მისმა შემოგარენმა გორაკებმა, მოგეხსენებათ 1994 წლის ზამთრის ოლიმპიადას უმასპინძლა. ახლა, ამ უქმეებზე იქ დაასრულებენ წლევანდელი მსოფლიოს თასის გათამაშებას როგორც მამრი, ასევე მდედრი მეფერდობეები. ამასობაში დამთავრდა ზოგიერთი სამთო სახეობა, მაგალითად სუპერგიგანტი და სწრაფდაშვება ქალებშიც და კაცებშიც.

ქალების გიგანტის მთავარი პრიზი, ბროლის გლობუსი შეხვდა ფრანგ კაროლ მონტილეს, მიუხედავად იმისა, რომ ლილეჰამერში მან მხოლოდ მეათე დრო აჩვენა. სამაგიეროდ მონტილე ამ მსოფლიო თასის სხვა სასუპერგიგანტო ეტაპებზე ჯაბნიდა სათხილამურო მდედრიონს. ისე ძალიანაც ვერ ჯაბნიდა, სხვები კუდში მიჰყვებოდნენ და ამ სახეობის ჩათვლაში საბოლოოდ მეორეზე გასულმა რენატე გოეტჩლმა თითქმის აართვა გლობუსი. და კიდევ, თუმცა სუპერგიგანტებში მონტილე პირველია, საერთო ჩათვლაში ის არც ძალიან ყოჩაღ გოგოდ მოსჩანს, ყველა სახეობის ჯამში ის მხოლოდ მეხუთეა და ანგარიშზე ლამის ორჯერ ნაკლები ქულა უზის, ვიდრე საერთო ჩათვლის უპირობო ლიდერს, ხორვატ იანიცა კოსტელიჩს. თავად ლილეჰამერის სუპერგიგანტი კი მოიგო არაიტალიური გვარ-სახელის იტალიელმა გოგონამ კარენ პუტცერმა, ვინაც ამ გამარჯვებამ მეგიგანტე ქალებში მესამე საბოლოო ადგილი დაუმკვიდრა.

გუშინვე დაესვა წერტილი კაცთა წლევანდელ სუპერგიგანტურ ციკლს. აქ ტახტის აბსოლუტური მპყრობელია ავსტრიელი შტეფან ებერჰარტერი, ვინაც თავი ისახელა ყველა დონეზე — ლილეჰამერის ეტაპი ხომ მოიგო, შემდეგ, ოქროს გლობუსი დაითრია ყველა გიგანტის შედეგების შეჯამებითაც და რაც მთავარია, ორ-სამ დღეში დაისაკუთრებს სეზონის მთავარ პრიზს — მსოფლიოს თასს, რომელიც ერგება ოთხი სახეობის (სუპერგიგანტი, გიგანტური სლალომი, სლალომი, სწრაფდაშვება) ჯამში ყველაზე მეტის ქულის დამგროვებელ მოთხილამურეს. ებერჰარტერმავე იმარჯვა სწრაფდაშვების ჯამურ შედეგებშიც, ასე რომ ის ლილეჰამერიდან მშობლიურ ავსტრიაში, სულ ცოტა, ორ მცირე გლობუსს წაიღებს.

ალბათ, შტეფანისვე იქნება დიდი გლობუსიც. სათასო საერთო ჩათვლაში ის გვარიანად უსწრებს, უახლოეს მდევარს, ამერიკელ ბოდე მილერს. საქმესაც ისეთი პირი უჩანს, ებერჰარტერი ზედიზედ მეორედ მოიპოვებს მსოფლიოს თასს. ასეთი წარმატების შემდეგ, კაცს ისღა დაგრჩენია, თხილამურები კედელზე ააყუდო, ფეხზე ფლოსტები მოიცვა და შეშით გალღუნებულ ოთახში სავარძელში ჩაფლობილმა თაროზე გამწკრივებულ გლობუსებს ამაყად უცქირო. ებერჰარტერსაც ადრე თუ გვიან მოუწევს სათხილამურო სამყაროსთვის ხელის დაქნევა, მით უმეტეს, რომ მან კარგა ხანია შეაბიჯა საპენსიო ასაკში, ამ თვეში 34 წელი უსრულდება.

რაც შეეხება ქალთა სწრაფდაშვებას, აქ წლის ყველაზე სწრაფად დამშვები ქალისთვის გამზადებული გლობუსი ავსტრიელ მიქაელა დორფმაისტერს შეხვდა.

**კოტე ყორშია**



REUTERS

კაროლ მონტილე გიგანტური პრიზით


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ლარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge